პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

ფასი 10 კაპ.

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

კვირა, 28 მარტი 1937 წ. № 71 (4872)

## დღეს გაზეთში:

— დავეუფლოთ ბოლშევიზმს („პრავდის" მოწინავე)
— გაბედულად გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა.
— აქ. ჭოჭუა — კოლხიდის ათვისების საბრძოლო ამოცანები (ფელეტონი).
— გ. გოგუაძე — პედაგოგების მომზადება (ფელეტონი).
უცხოეთში.
— ამხ. მაისკის განცხადება ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის სხდომაზე.
— ესპანეთის მთავრობის ნოტა ინგლისისადმი.
— საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს სხდომის კომუნიკე.
— იტალია—სამხრეთ - სლავიის ხელშეკრულება.
— პრესის გამოხმაურება იტალია-სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულებაზე.

## დავეუფლოთ ბოლშევიზმს

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა შეურყეველ, ძლევამოსილ ძალად იქცა მას შემდეგ, რაც მეცნიერული სოციალიზმი გახდა პროლეტარული რევოლუციის თეორიულ საფუძვლად.

...

და მათი საზიზღარი წრეები ბალლინჯოებივით იყვნენ დაბუდებულნი ზოგიერთი საბჭოთა სამეცნიერო დაწესებულების ჭუჭრუტანებში. ისინი სარგებლობდნენ ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელი მუშაკის დაუდევრობით, უდარდელობით, საქმოსნობით, რომელთაც პარტიულ-პოლიტიკური საკითხებისადმი ინტერესთან ერთად დაჰკარგეს მტრის გამოცნობის უნარიც.

გაფრთხილებანი, რომელნიც არაერთხელ მოუცია ამხანაგ სტალინს, დავიწყებულ იქნა. ბევრ ადგილას დაშვებული იყო შეუწყნარებელი დაშორება რევოლუციურ თეორიასა და პრაქტიკას შორის. თვითკმაყოფილი „პრაქტიკოსები", რომელთაც მიივიწყეს მარქსისტულ - ლენინური ... ტიკის საკითხებზე პარტიის ხაზი, სამხარეო და რესპუბლიკური ორგანოების ხელმძღვანელი შემადგენლობისათვის.

თეორიის დიდი მნიშვნელობა. იდეოლოგიურ - პროპაგანდისტული ფრონტის მნიშვნელობა მთლიანად უნდა იქნას აღდგენილი. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრებას, ბოლშევიზმს უნდა დაეუფლონ ჩვენი პარტიის წევრთა მასები. გავამახვილოთ და მუდამ მზად ვიქონიოთ პარტიის უბასრესი იარაღი — მუშათა კლასის რევოლუციური თეორია. ამას მოითხოვს პარტია ყველა თავისი წევრისაგან, ამეთკენ მოუწოდებს პარტია ყველა მშრომელს.

„პრავდის" მოწინავე, 27/III

## ამხ. ფარიხი კრესტის ყურეში

კრესტის ყურე, 27 მარტი (საქდესი). თვითმფრინავ „6—120"-ის ...

... დლით მოუხდებათ შესწყვიტონ თავიანთი საჰაერო მარშრუტი მოსკოვთონ-მოსკოვი.

## ამხ. მაისკის განცხადება ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის სხდომაზე

ლონდონი, 25 მარტი (საქდესი). გუშინ საღამოს შესდგა ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტის პლენარული სხდომა, რომელზედაც სსრ კავშირის წარმომადგენელმა ამხ. მაისკიმ გააკეთა შემდეგი განცხადება:

„ჩემი მთავრობის ინსტრუქციების შესაბამისად, საჭიროდ ვსთვლი კომიტეტის ყურადღება მივაქციო ესპანეთის შინაურ საქმეებში იტალიის სამხედრო ინტერვენციას, რომელიც განუწყვეტლივ იზრდება. ჩემს განკარგულებაში არსებულ სავსებით სარწმუნო ცნობებით ესპანეთში მყოფი იტალიელთა რიცხვი თებერვლის შუა რიცხვებში იყო არა ნაკლებ 60 ათასისა ...

13 მარტის ნოტაში, რომელიც გაეგზავნა ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს და რომლის ასლი გადაეცა აგრეთვე საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს მოსკოვში. ამ ნოტაში ესპანეთის მთავრობა გამოსთქვამდა სურვილს: ჩაურევლობის კომიტეტმა სასწრაფოდ „განიხილოს და მსჯავრი დასდოს ესპანეთის მთავრობის ბრალდებებს" იტალიის მთავრობის წინააღმდეგ იმასთან დაკავშირებით, რომ იტალიის შეიარაღებული ძალები მონაწილეობას იღებენ ესპანეთის კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში გენერალ ფრანკოს მხარეზე. ამავე დროს იმავე ნოტაში ესპანეთის ...

... რებამდე, ალბათ, იმის შიშით, რომ ფეხი არ წასხლტომოდა რომელიმე სიპ კენჭზე. ქვეკომისიის 23 მარტის სხდომაზე მის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, რომ არცერთი იტალიელი „ვოლონტიორი" ესპანეთიდან არ წავა, სამოქალაქო ომის დამთავრებამდე,—მთელი ქარტეხილი გამოიწვია ევროპისა და ამერიკის პრესაში და იტალიის მთავრობა ჩააყენა საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში. სამაგიეროდ საბრძოლველად დამკლავებული გამოიჭრა გერმანიის წარმომადგენელი რიბენტროპი, რომელმაც გუშინდელ სხდომაზე უკვე პირდაპირ დაიწყო ლაპარაკი იტალიის მთავრობის სახელით — ...

... წარმოადგენს უცხოური ინტერვენციის ერთერთ ყველაზე უფრო მკაფიო მაგალითს, რანაირიც კი ისტორიაში ყოფილა ცნობილი. მეტიც, თუ მხედველობაში მივიღებთ იტალიის მთავრობის მიერ ამოქმედებულ შეიარაღებულ ძალთა ოდენობას, ყველა საფუძველი გვაქვს იტალიის მოქმედება დავახასიათოთ, როგორც სამხედრო შეჭრა სხვის ქვეყანაში და როგორც აქტი სრულიად არაფრით პროვოცირებული აგრესიისა სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ იმ აზრით, როგორც ეს გვესმის საერთაშორისო სამართლისა და ერთა ლიგის წესების მიხედვით.

ყოველივე ზემოხსენებული სისწორის დამადასტურებელი ვრცელი ინფორმაცია ყოველდღე იბეჭდებოდა უკანასკნელ კვირათა განმავლობაში მთელს მსოფლიო პრესაში. იმავე ხასიათის დიდძალი, სავსებით ზუსტი და დაწვრილებითი ფაქტები შეგროვილია ესპანეთის მთავრობის ...

... შემდეგ, მაინც აწვდიდა შეიარაღებულ ძალებსა და სამხედრო მასალას გენერალ ფრანკოს; 2) ვამოიძიოს ესპანეთის მთავრობის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებში იტალიის რეგულარული არმიის ნაწილთა მონაწილეობის ყველა ფაქტი; 3) წარმოუდგინოს ჩაურევლობის კომიტეტს მოხსენება მომხდარი კვლევა-ძიების შედეგების შესახებ".

ამხ. მაისკის გამოსვლამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქოს ყუმბარა გასკდაო. პირველ მომენტში ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლოკარნოს დარბაზში, სადაც მიმდინარეობს კომიტეტის სხდომები, დაძაბული დუმილი ჩამოვარდა. ეს დუმილი დაბოლოს, დაარღვია იტალიის წარმომადგენელმა—გრანდიმ, რომელმაც, ძლიერ აღელვებულმა, განაცხადა, რომ „კომუნისტური რუსეთის წარმომადგენლის გამოსვლას ფაშისტური იტალია თავის დროზე გასცემს ჯეროვან პასუხს". ამის შემდეგ გრანდის კრიტიკი არ დაუძრავს სხდომის დამთავ...

... ბულ იქნას, თუ საიდან მიიღეს მათ გამოქვეყნებული ინფორმაცია.

მთელი ევროპის პრესის „გებელსირების" (გვარი გებელსიდან) ამ გენიალურმა პროექტმა უნებლიედ და უდიდესად გააოცა კომიტეტის წევრები. ბევრი დელეგატი თავს ძლივს იკავებდა ხმამაღალი ხარხარისაგან, მძიმე მდგომარეობიდან რომ გამოსულიყო, თავმჯდომარემ ლორდმა პლიმუტმა შემარიგებლად შენიშნა, რომ საეჭვოა მიზანშეწონილი იყოს ახლა გაგრძელდეს გერმანიის წარმომადგენლის მიერ აღძრული საკითხის განხილვა, ვინაიდან მის მიერ შემოტანილი წინადადებანი ისეთია, რომ კომიტეტის წევრები, უეჭველად, მოისურვებენ, რათა ერთგვარი დრო იქონიონ მათ მოსაფიქრებლად. კომიტეტი დაეთანხმა თავმჯდომარის აზრს.

ამის შემდეგ, საფრანგეთის წარმომადგენლის კორბენის წინადადებით, ამხ. მაისკის განცხადება განსახილველად გადაეცა თავმჯდომარესთან არსებულ ქვეკომისიას.

## მდგომარეობა ესპანეთში

### ესპანეთის მთავრობის ნოტა ინგლისისადმი

ვალენსია, 26 მარტი (საქდესი). როგორც ფაბრის სააგენტო გადმოგვცემს, გამოქვეყნდა ნოტის ტექსტი, რომელიც ესპანეთის მთავრობამ გაუგზავნა ინგლისის მთავრობას ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო კომიტეტისათვის გა...

... ში, კატეგორიულად აცხადებს, რომ არ დაუშვებს არავითარ ჩარევას იმ გემების მიმართ, რომლებიც ესპანეთის რესპუბლიკის დროშით დადიან. ესპანეთის მთავრობა პროტესტს აცხადებს იმის წინააღმდეგ, რომ ჩაურევლობის ...

... ლება ხდება მას შემდეგ, როდესაც გერმანიისა და იტალიის ჯარების კონტინგენტების გადმოსხმის შედეგად, მეამბოხეებს ნამდვილი ინტერვენციონისტული არმია ჰყავთ. ნოტის სიტყვით, ცნობები იმის შესახებ ...



ინგლისური სატრანსპორტო გემის „ლიბერიას" მეზღვაურებმა, როდესაც გაიგეს, რომ გემის მორიგი რეისი დანიშნულია ტვირთის გადასაზიდად ფაშისტ მეამბოხეთა მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ესპანეთში, უარი სთქვეს მუშაობაზე. სურათზე: ინგლისური გემის ათი მეზღვაური, რომლებმაც უარი სთქვეს ემუშავნათ ფაშისტ მეამბოხეთათვის.

ფოტო „სოიუზფოტოსი"

## საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს სხდომის კომუნიკე

პარიზი, 25 მარტი (საქდესი). საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესის ბიურომ გამოაქვეყნა კომუნიკე კომპარტიის პოლიტბიუროს სხდომის შესახებ, რომელიც დღეს შესდგა. კომუნიკეში ნათქვამია, რომ პოლიტბიურო ლონდონში იტალიის ელჩის გრანდის განცხადებას სთვლის მუქარად მშვიდობიანობისათვის და მოითხოვს დაუყოვნებლივ ენერგიულ მოქმედებას საფრანგეთის მხრით, რათა მიაღწიოს ესპანეთში გაგზავნილ ფაშისტთა ჯარების გაწვევას. პოლიტბიურო მოითხოვს ბლოკადის შეწყვეტას და თავისუფალი ვაჭრობის აღდგენას ესპანეთის კანონიერ მთავრობასთან.

კომუნიკეში აგრეთვე ნათქვამია, რომ პოლიტბიურო იზიარებს მრავალრიცხოვანი მუშათა ორგანიზაციების მიერ გამოხატულ აზრს, რომლებიც მოითხოვენ ფაშისტთა ლიგების დაშლას, და გაკვირვებას გამოსთქვამს, რომ დღევანდლამდე ამ მხრივ არავითარი ზომები არ ყოფილა მიღებული.

პოლიტბიურო გამოსთქვამს სიხარულს მრავალრიცხოვანი პროფკავშირების მიერ ფასების გადიდების შესაბამისად ხელფასის გათანასწორების მხრივ მიღწეული შედეგების გამო. პოლიტბიუროს საჭიროდ მიაჩნია, რათა საპარლამენტო სესიის განახლების შემდეგ დეპუტატთა პალატამ და სენატმა დაუყოვნებლივ განიხილონ საკითხი მოხუცი მუშებისათვის პერსონალური პენსიის დანიშვნისა და წვრილი ვაჭრების უმნიშვნელოვანეს მოთხოვნათა დაკმაყოფილების შესახებ.

დასასრულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ საფრანგეთის კომპარტიაში ახლა ითვლება 302.976 წევრი.

◇ ◇ ◇

## იტალია სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულება

ვენა, 26 მარტი (საქდესი). ბელგრადიდან იუწყებიან, რომ გუშინ აქ ჩავიდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩიანო, რომელსაც სამხრეთ-სლავიის მთავრობამ საზეიმო შეხვედრა გაუმართა. ჩიანო მიიღო სამხრეთ-სლავიის პრინცმა-რეგენტმა პავლემ, რომელმაც გადასცა მას სამხრეთ-სლავიის ...

ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა დაადასტურეს თავიანთი სურვილი არ მიმართონ ურთიერთდამოკიდებულებაში ომს, მშვიდობიანი გზით გადასწყვიტონ ყველა სადაო საკითხი და კონფლიქტები, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას მათ შორის.

...

ორივე მხარემ იკისრა ვალდებულება დაიცვას საერთო საზღვრები როგორც ხმელეთზე, ისე ადრიატიკის ზღვაზე. იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ხელშეკრულების დამდებ ერთერთ მხარეზე ერთი ან რამდენიმე ქვეყნის არაპროვოცირებული თავდასხმა, მეორე ხელშემკვრელი მხარე ვალდებულია თავი შეიკავოს ყოველგვარი ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც შეიძლება გამოიყენოს აგრესორმა.

საერთაშორისო კონფლიქტის შემთხვევაში, რომელიც სახიფათო იქნება ხელშეკრულების დამდები ქვეყნების ინტერესებისათვის, ისინი ვალდებული არიან შეთანხმდნენ ამ ინტერესთა დასაცავი ღონისძიებების შესახებ.

... მდეგ, ანდა სხვა გზით შეეძლოს დაარღვიოს ხელშემკვრელთა მეგობრული ურთიერთობა.

გათვალისწინებულია უახლოეს ხანში ახალი სავაჭრო შეთანხმების დადება საქონლის გაცვლა-გამოცვლის გასაფართოვებლად.

მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ეს ხელშეკრულება არ არის მიმართული იმ საერთაშორისო ვალდებულებათა წინააღმდეგ, რომელიც ნაკისრი აქვს ორივე სახელმწიფოს.

ხელშეკრულება დადებულია 5 წლის ვადით, მაგრამ, თუ 6 თვის ადრე ვადის გასვლამდე არ იქნება განცხადებული მისი მოქმედების შეწყვეტის შესახებ, იგი ავტომატურად გაგრძელდება წლიდან წლამდე.

## პრესის გამოხმაურება იტალია — სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულებაზე

ბერლინი, 26 მარტი (საქდესი). გერმანიის პრესა მიესალმება პოლიტიკური ხელშეკრულების დადებას იტალიასა და სამხრეთ-სლავიას შორის ...

... ტიური უშიშროების სისტემას. პრესა ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, რომ ამ ხელშეკრულების დადებისას, „ბელგრადს ნეიტრალიტეტის ...

... მიაჩნიათ და ლაპარაკობენ „ხელსაყრელი თანამშრომლობის ახალ ერაზე". გაზეთები ფიქრობენ, რომ იტალია-სამხრეთ-სლავიის პაქტი უწინარეს ყოვლისა აძლიერებს „ბერლინ-რომის ღერძს", და ხაზს უსვამენ იმ ფაქტს, რომ იგი დადებულია ერთა ლიგის ფარგლებს გარეშე, ე. ი. ეწინააღმდეგება განუყოფელი მშვიდობიანობის პრინციპებს და კოლექ...

... საფრანგეთის პრესა ვერ ახერხებს დაფაროს გულმოსულობა გუშინ ბელგრადში იტალია-სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულების ხელის მოწერის ამბის კომენტირების დროს. ახალი ხელშეკრულება მთელ რიგ გაზეთებს მიაჩნიათ სერიოზულ ლახვრად კოლექტიური უშიშროების პოლიტიკისა და ურთიერთდახმარების პოლიტიკის წინააღმდეგ.

◇ ◇ ◇

## პარტიზანული მოძრაობა მანჯურიაში

ბეიპინი, 26 მარტი (საქდესი). გაზეთ „შანსიჟიბაოს" მოჰყავს მანჯურიის სამხედრო ხელისუფალთა ცნობები პარტიზანულ მოძრაობაზე მანჯურიაში. ამ ცნობებით, სამხრეთ მანჯურიაში არის 20 ათასი პარტიზანი. ამა წლის იანვრისა და თებერვლის განმავლობაში პარტიზანებსა და იაპონია-მანჯურიის ჯარებს შორის მოხდა 318 ბრძოლა.

ამ ხნის განმავლობაში იაპონია-მანჯურიის ჯარებმა დაანგრიეს პარტიზანთა 285 დასაყრდენი პუნქტი. მოკლულია 985 და დატყვევებულია 325 პარტიზანი. იაპონია-მანჯურიის ჯარებს მოუკლეს 11 ოფიცერი და 310 ჯარისკაცი, დაუჭრეს 2 ოფიცერი და 185 ჯარისკაცი.

## საბჭოთა კავშირში

### 25 ათასი მეტრის სიმაღლეზე

მოსკოვი, 26 მარტი (საქდესი). თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს სტრატოსფეროს კომიტეტმა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარმა სამმართველომ მოაწყეს მეცნიერულ-ექსპერიმენტული ბრიგადა სტრატოსფეროს შესასწავლად.

ბრიგადას აქვს უახლესი ავტომატური აპარატურა, სხვათა შორის, ისეთი ხელსაწყოები, რომლებსაც პირველად იყენებენ სტრატოსფეროს შესასწავლად, მაგალითად, ხელსაწყოები მიკროორგანიზმების საკვლევად, ავტომატური სპექტროგრაფი კოსმიური სხივების შესასწავლად და სხვ. განზრახულია — მზის სპექტრის ფოტოგრაფირებისათვის გამოიყენონ აპარატი, რომელიც დაამზადეს ინჟინერმა სიტინმა და ცნობილმა ასტრონომმა ამხ. შისტოვსკიმ.

ყველა ავტომატური აპარატი და ხელსაწყოები ბურთობ-ზონდებისა და სპეციალურად მომზადებული ავტომატური სტრატოსტატების საშუალებით ატანილი იქნება სტრატოსფეროში 20—25 ათასი მეტრის სიმაღლეზე.

### მადრიდის ასტრონომიული ობსერვატორიის ყოველწლიური ალმანახი

მოსკოვი, 26 მარტი (საქდესი). ჩვენი ქვეყნის ასტრონომიული ობსერვატორიები — პულკოვოს, ტაშკენტისა და სხვ. —ეწევიან მეცნიერული ნაშრომების გაცვლას ევროპისა და ამერიკის მეტწილ ასტრონომიულ ...

... მთავრებული იყო 1936 წლის 1 ნოემბერს. მაგრამ მოხდა უკანასკნელი ფურცლების იძულებითი შეჩერება არტილერიისა და ავიაციის ძლიერი იერიშების გამო, რომლებიც ემუქრებოდნენ ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაბედულად გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა

## ორჯონიკიძის სახელობის რაიონის პარტკრებებზე

### თბილისის ნაგებობათა სამეცნიერო ინსტიტუტი

ორჯონიკიძის რაიონის (თბილისი) პირველად პარტორგანიზაციებში მაღალ პოლიტიკურ დონეზე, ფართო ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნით მიმდინარეობს დახურული პარტიული კრებები, რომლებიც მიძღვნილია საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვისადმი.

თბილისის ნაგებობათა სამეცნიერო ინსტიტუტის კრებაზე 14 კომუნისტიდან, რომლებიც პარტიულ კრებას დაესწრნენ 26 მარტს, კამათში აზრი გამოსთქვა ყველა 14 კაცმა.

ამხ. ხაინდრავამ სთქვა:

— საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ გამომჟღავნებულ და გაკიცხულ შეცდომებსა და დიდ ნაკლოვანებებს პარტიულ მუშაობაში, აგრეთვე რევოლუციური სიფხიზლის მოდუნების ფაქტებს ადგილი ჰქონდა თბილისის ინსტიტუტის ნაგებობათა პარტიულ ორგანიზაციაშიც. სარგებლობდნენ რა ამით, კონტრრევოლუციონერმა —ტროცკისტებმა (გრიგორიანმა, ცინცაძემ, საატჩიანმა) მოახერხეს გამძვრალიყვნენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე და ეწარმოებიათ თავიანთი ძირგამომთხრელი მუშაობა. ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში ადგილი ჰქონდა პარტიის წესდების უხეშად დარღვევასაც. ინსტიტუტის ყოფილ პარტორგს კარპოვიჩის სამი წლის განმავლობაში არცერთხელ არ ჩაუბარებია ანგარიში, იყო თვითკრიტიკის აშკარად ჩახშობის შემთხვევები კარპოვიჩის მხრივ, მაგრამ პარტიული ორგანიზაცია ამას არ ეხმაურებოდა.

— პროპაგანდა და პოლიტიკური აგიტაცია — ამბობს ამხ. ჯიბლაძე,—ჩვენთან არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული. პოლიტწრეების მეცადინეობა სუსტად მიმდინარეობს, მეცადინეობა ხშირად იშლება. ამ უკანასკნელ დროს ჩვენ გვქონდა წრის მეცადინეობის რამდენიმე ჩაშლა. ამის შესახებ კარგად იცის რაიკომის კულტპროპმა, მაგრამ სათანადო ღონისძიებას არ იღებს.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გასპაროვმა, ფილატოვამ, სარქისოვმა, ვალიშვილმა, ცოტაძემ და სხვებმა აღნიშნეს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სუსტი დაყენება ინსტიტუტის უპარტიო მუშებსა, მეცნიერ მუშაკებსა და მოსამსახურეებს შორის.

მიღებულ რეზოლუციაში პარტიული კრება იწონებს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, მათ შორის გადაწყვეტილებას საკ. კ.პ. (ბ) რიგებიდან ბუხარინისა და რიკოვის გარიცხვის შესახებ (საქინფორმი).

## გამოააშკარავეს ხალხის მტერი

26 მარტს ტრესტ „მოლოკოპროდუქტის" რძის ქარხნის და კანტორის ორგანიზაციამ განიხილა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

კრებაზე გამოსულმა ამხ. მღინარაძემ, ბაკურაძემ, ლურსმანიშვილმა, ოპანესიანმა და სხვ. სასტიკად გააკრიტიკეს თავისი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მუშაობა. ისინი უთითებდნენ თვითკრიტიკის ჩახშობისა და შეტევითი რევოლუციური სიფხიზლის შესუსტების შემთხვევებზე.

პარტიულ ორგანიზაციას უკანასკნელ დღემდე სათავეში ედგა კონტრრევოლუციონერი, თვალთმაქცი, ტროცკისტი მხეიძე, რომელიც მთელი რიგი წლების განმავლობაში უმალავდა პარტიას თავის ნამდვილ სახეს. მხეიძე თურმე ესწრებოდა ტროცკისტთა კონსპირატიულ კრებებს მოსკოვში. მხეიძემ მოატყუა პარტიული ორგანიზაცია.

პარტიული ორგანიზაციის კრებამ გამოააშკარავა ხალხის მტერი მხეიძე და გარიცხა პარტიიდან.

კრებაზე გამოსული ყველა კომუნისტი აღნიშნავდა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა უდიდეს მნიშვნელობას. კრებამ ერთსულოვნად მოიწონა ბუხარინისა და რიკოვის გარიცხვა პარტიიდან ანტიპარტიული მოღალატური საქმიანობისათვის.

კრებამ შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებანი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად გატარებისათვის ცხოვრებაში. (საქინფორმი).

## მოკლებული არიან საშუალებას გააკრიტიკონ თავისი პარტორგის მუშაობა

ქუთაისი, 26 მარტი (საქინფორმი). სოფელ ქვიტირის კოლმეურნეობის „25 ოქტომბრის" კომუნისტები ერთსულოვნად მივიდნენ კრებაზე, რომელიც მიძღვნილი იყო საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შედეგებისადმი. რამდენიმე საათის განმავლობაში ისინი ქუთაისიდან ელოდნენ მომხსენებელს, რომელიც პარტიის ქალაქკომმა გამოჰყო, მაგრამ მის ჩამოსვლას ვერ ეღირსნენ. კრება არ შედგა.

კოლმეურნეობის ცალკეული კომუნისტები არ იცნობენ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, მათ არ წაუკითხავთ ამხანაგ ჟდანოვის მოხსენება, მაგრამ იმათაც, რომლებიც გაეცნენ ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს, აქვთ ბევრი საკითხი, რომლებიც მოითხოვენ გადაწყვეტას, განმარტებას.

კოლმეურნეობის ცალკეული კომუნისტები სჩივიან, რომ პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა ძალიან სუსტად არის დაყენებული კოლმეურნეობაში. პროპაგანდისტ ხელიძეს გასული წლის აგვისტოდან არ მოუწყვია მეცადინეობა და საუბრები კომუნისტებთან. ყველა კომუნისტი არ კითხულობს გაზეთებს, მათ არავინ დახმარებას არ უწევს თვითგანვითარების საქმეში, მათ არავინ არ აცნობს შინაური და საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ამბებს.

ერთ წელზე მეტია, რაც პარტორგს ანგარიში არ ჩაუბარებია თავის მუშაობაში, კომუნისტები მოკლებული არიან საშუალებას გამოვიდნენ და გააკრიტიკონ მისი მუშაობა.



№ ქართული მსროლელთა ლეგიონის კურსანტები სწავლობენ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებებს. სურათზე: ლეგიონის სკოლის კომორგი ამხ. იზნაძე კომკავშირელ კურსანტებს ესაუბრება საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ. ფოტო ხერედასი („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

## გამოვასწოროთ შეცდომები, ვემზადოთ არჩევნებისათვის

სპილენძის სატკეცი ქარხნის პარტორგანიზაციის დახურულმა კრებამ ამაღლებული შემტევი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა.

ამხ. კოპალეიშვილმა კრებაზე გააკეთა მოხსენება საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის შედეგებზე. მოხსენებას მან დაუკავშირა ადგილობრივი პარტორგანიზაციის მუშაობის კონკრეტული საკითხები და ჯანსაღი ბოლშევიკური თვითკრიტიკის ფართოდ გაშლით გამოავლინა ის შეცდომები და ნაკლოვანებანი, რომელიც ჯერ კიდევ ახასიათებს სპილენძის სატკეცი ქარხნის პარტორგანიზაციას პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში.

მოხსენების შემდეგ კიდევ უფრო ფართოდ გაიშალა კრიტიკა. კამათში გამოსული კომუნისტები ბოლშევიკური პირდაპირობით და შეუპოვრობით აკრიტიკებდნენ ქარხნის პარტორგანიზაციის მუშაობას:

— ჩვენთან, — ამბობს ამხ. სიმონიანი, — პარტიული სწავლების საქმე ჯერ კიდევ მოუგვარებელია. პარტორგანიზაციის წევრთა საგრძნობმა ნაწილმა პარტიის წესდება და პროგრამა არ იცის, პარტიის ზოგიერთ წევრს შეგნებული არა აქვს თავისი კანონიერი უფლება - მოვალეობანი. ამიტომ ისინი სათანადოდ არ არიან ჩაბმული პარტიულ ცხოვრებაში.

— არც საიგიტაციო მუშაობაა კარგად დაყენებული ჩვენს ქარხანაში, — ლაპარაკობს ამხ. კიკნაძე. — მართალია, ყოველ დასვენების დროს სისტემატურად ვატარებთ აგიტაციას სასადილოში, მაგრამ ეს არ არის ორგანიზაციულად მოწყობილი, სასადილოში ხშირად ისეთი საშინელი ხმაური და აურზაურია, რომ აგიტატორის ხმა არც კი ისმის. ქარხანაში კარგახანია კედლის გაზეთი არ გამოდის, პარტორგანიზაციის ზოგიერთი წევრი გაურბის საზოგადოებრივ მუშაობას, ერიდება კრიტიკას. ალბათ ამას თავისი მიზეზები აქვს. ეს უნდა გამოვააშკარავოთ, საჭიროა გავშალოთ მუშაობა იმ მხრივ, რომ უპარტიო აქტივი მჭიდროდ შევაკავშიროთ და ჩავაბათ საზოგადოებრივ პოლიტიკურ მუშაობაში.

— კიდევ მეტს გეტყვით, — ლაპარაკობს თვით პარტკომის მდივანი ამხ. ზარზაჭაძე. — ჩვენთან ხშირად ირღვეოდა შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპი, იყო პარტიის წესდების უგულებელყოფის შემთხვევები, მაგრამ ამის შესახებ პარტორგანიზაციის წევრები ხმას არ იღებდნენ. მაგალითად, მე ამ ქარხანაში პარტკომის მდივნად რაიონული კომიტეტიდან მომავლინეს. ჯერ დამნიშნეს პარტკომის მდივნად, ხოლო შემდეგ ფორმალურად ამირჩიეს კრებაზე. გამოდის, რომ მე კოოპტაციის წესით შემიყვანეს პარტკომის წევრად. ეს კი არ იყო სწორი. ჩვენ ფართოდ ვიყენებდით კოოპტაციის წესს, რაც სასტიკად დაჰგმო საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმმა.

კრებაზე გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ სპილენძის ქარხნის პარტიული კომიტეტი განსაკუთრებით გატაცებული იყო სამეურნეო საკითხებით და ცოტას ზრუნავდა შინაპარტიულ მუშაობის საკითხების მოგვარებაზე, სუსტად ხელმძღვანელობდა პარტიის რეზერვს და სხვ.

დასასრულ აღნიშნეს, რომ პარტიულ ორგანიზაციაში თავის სიმაღლეზე არ იდგა კომუნისტთა პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა. ამიტომ ქარხანაში ჯერ კიდევ არიან პარტიის ისეთი წევრები, რომლებიც პოლიტიკის თვით ელემენტარულ საკითხებში ვერ ერკვევიან, არ იციან პარტიის წესდების 1 და 2 პარაგრაფიც კი, არ კითხულობენ გაზეთებს და სხვ. გამოსულმა კომუნისტებმა გაამახვილეს ყურადღება შემტევი სიფხიზლის ამაღლების და ბოლშევიკური თვითკრიტიკის გაშლის საკითხებზე. პარტიის ორგანოების ახალი არჩევნებისათვის მოსამზადებელი მუშაობის წარმატებით მოწყობისათვის წამოაყენეს მთელი რიგი კონკრეტული ღონისძიებანი. კრებამ 3 საათს გასტანა.

○

მართალია, კრებამ ცოცხლად ჩაიარა, კომუნისტები აქტიურად გამოვიდნენ და ბოლშევიკური სიმახვილით ამხელდნენ ნაკლოვანებებს, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ კრებაზე არ იყო დაცული დისციპლინა, შეუწყვეტელი მიმოსვლა და ხმაური ხელს უშლიდა კრების მუშაობას.

ამასთანავე მიუხედავად იმისა, რომ კრებაზე დამსწრე ამხანაგები მწვავე თვითკრიტიკით გამოვიდნენ, გამოირკვა, რომ კომუნისტთა შორის არიან ისეთები, რომელთაც აკლიათ სიფხიზლე, რომლებმაც არ იციან პარტიული ბილეთის მოვლა. უპასუხისმგებლოდ ეპყრობიან თავის პარტიულ დოკუმენტებს, ზოგიერთ მათგანს პარტიული ბილეთი არ აღმოაჩნდა ჯიბეზე. სიფხიზლის ამაღლებაზე ლაპარაკობენ და ამავე დროს პარტიული დოკუმენტისადმი ასეთ უსულგულო დამოკიდებულებას იჩენენ.

**ალ. ბვინჩიძე.**

## საბჭოების მასობრივი მუშაობა — მოწოდების სიმაღლეზე

**გ. ჩარექიშვილი**

საქ. ცაკის ინსტრუქტორი

სტალინური კონსტიტუცია უდიდეს პასუხისმგებლობას გვაკისრებს, რათა საბჭოების საორგანიზაციო — მასობრივი მუშაობა, საბჭოების უშუალო კავშირი მასებთან კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ.

მშრომელთა ფართო მასებთან მჭიდრო კავშირის დასამყარებლად საუკეთესო ფორმაა საბჭოების სექციები და სადეპუტატო ჯგუფები. ახლა, როცა შეუდარებლად გაიზარდა საბჭოთა სოციალისტური მრეწველობა, როცა განმტკიცდა სოციალისტური სოფლის მეურნეობა, როცა ქალაქად და სოფლად აღიზარდნენ საუკეთესო კადრები და ამაღლდა მასების პოლიტიკური და კულტურული დონე, შეუდარებლად გაიზარდა მშრომელთა მასის მონაწილეობაც სახელმწიფოს მმართველობაში. საგრძნობლად გაიზარდა სექციების და სადეპუტატო ჯგუფების ქსელი. ათიათასობით მუშები, კოლმეურნენი და საბჭოთა ინტელიგენცია ჩაებნენ საბჭოების სექციებისა და სადეპუტატო ჯგუფების მუშაობაში.

სექციები და სადეპუტატო ჯგუფები უდიდეს მუშაობას ასრულებენ. საბჭოთა დეპუტატების თვალი ჩვენი მეურნეობის ყველა კუთხეს სწვდება, დეპუტატი მშრომელთა საამური და ბედნიერი ცხოვრების შექმნის უახლოესი მონაწილეა. სადეპუტატო ჯგუფები და სექციები ღრმად შეიჭრნენ მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, უმაგალითო გახდა თავაზიანი მოპყრობა მშრომელებისადმი, სიყვარული თავისი ქარხნებისადმი, კოლმეურნეობებისადმი და ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში ეს დეპუტატები აბამენ მშრომელთა ფართო მასებს. ასე იქცევა სექცია იქ, სადაც მას სოფლის საბჭოს თავმჯდომარე კარგად ხელმძღვანელობს. მაგრამ, სამწუხაროდ, ცოტა როდია სასოფლო საბჭო, მოწოდების სიმაღლეზე რომ ვერ დგას, სექციებს ცუდად რომ ხელმძღვანელობს. ამის გამო იქ სექციებისა და სადეპუტატო ჯგუფების მუშაობაც მოისუსტებს.

ზოგიერთი რაიაღმასკომის და სასოფლო საბჭოს მოუქნელი ხელმძღვანელობის შედეგად სექციების და სადეპუტატო ჯგუფების მუშაობა პირდაპირ სამარცხვინო მაჩვენებლებს იძლევა. 1937 წლის პირველი იანვრის ცნობებით მთელ საქართველოში სასოფლო საბჭოებთან ჩამოყალიბებულ 7.775 სექციიდან მუშაობს მხოლოდ 7174 სექცია, ანუ 92,2 პროცენტი. სექციებში ჩაბმულ 63.931 წევრიდან სისტემატურად მუშაობს და ჩაბმულია პრაქტიკულ მუშაობაში მხოლოდ 39047 წევრი, ანუ 61,2 პროცენტი. კოლმეურნეობებთან, საბჭოთა მეურნეობებთან და წარმოებებთან ჩამოყალიბებულ 3378 სადეპუტატო ჯგუფიდან მუშაობს მხოლოდ 2918 სადეპუტატო ჯგუფი, ანუ 86 პროც. სადეპუტატო ჯგუფებში ჩაბმულ 30401 წევრიდან პრაქტიკულად მუშაობს მხოლოდ 15995 წევრი, ანუ 52,6 პროცენტი.

1937 წლის პირველი იანვრის ცნობები საბჭოების მასობრივი ორგანოების მუშაობაში განსაკუთრებით სამარცხვინოდ ჩამორჩებიან:

ამბროლაურის რაიონი — აქ სექციებში ჩაბმულ 2203 წევრიდან მუშაობს მხოლოდ 1269 წევრი, ანუ 57,6 პროცენტი. ჩამოყალიბებულ 148 სადეპუტატო ჯგუფიდან მუშაობს მხოლოდ 90, ანუ 60,7 პროცენტი. სადეპუტატო ჯგუფებში მუშაობს წევრთა მხოლოდ 48,2 პროცენტი.

ბაღდათის რაიონი — სექციების 1834 წევრიდან მუშაობს მხოლოდ 786 წევრი, ანუ 42,8 პროცენტი; სადეპუტატო ჯგუფების 525 წევრიდან მუშაობს მხოლოდ 327 წევრი, ანუ 62,2 პროცენტი.

ჩხოროწყუს რაიონი — სექციების 463 წევრიდან მუშაობს მხოლოდ 203 წევრი, ანუ 42,3 პროცენტი; სადეპუტატო ჯგუფებში ჩაბმულ 340 წევრიდან მუშაობს მხოლოდ 120 წევრი, ანუ 35,2 პროცენტი.

წალენჯიხის რაიონი: 101 სექციიდან მუშაობს მხოლოდ 85 ანუ 84,1 პროცენტი; სექციებში ჩაბმულ 506 წევრიდან მუშაობს მხოლოდ 213 წევრი ანუ 42, პროცენტი; სადეპუტატო ჯგუფებში ჩაბმულ 215 წევრიდან მუშაობს მხოლოდ 50 წევრი ანუ 23,2 პროცენტი.

ეს ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი რაიაღმასკომი, საქალაქო საბჭო და სასოფლო საბჭო მასობრივ ორგანოებს მეტად სუსტად ხელმძღვანელობენ, არ ისმენენ მათ მოხსენებებს, არ ეცნობიან მუშაობის დადებითსა და უარყოფით მხარეებს და არ სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მდგომარეობის გასაჯანსაღებლად და საბჭოების გარშემო ფართო საზოგადოებრიობის დასარაზმავად. არის შემთხვევები, როცა სასოფლო საბჭო, ნაცვლად იმისა, რომ ასწავლოს და დაეხმაროს მასობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს პრაქტიკულ მუშაობაში, ბიუროკრატიული და უსულგულო დამოკიდებულებით აფრთხობს საბჭოს აქტივს. მაგ., ბაღდათის რაიონის ს. როხის სასოფლო საბჭოში ჩამოყალიბებული შვიდი დარგობრივი სექციიდან, თავმჯდომარის მიზეზით, ერთიც არ მუშაობს. 1936 წელს სექციებს არცერთი სხდომა არ მოუწყვიათ, ჩამოყალიბებული ოთხი სადეპუტატო ჯგუფიდან ერთიც არ მუშაობს.

საბჭოების მასობრივი ორგანოების მუშაობას საგრძნობლად უშლის ხელს საბჭოს თავმჯდომარეთა ხშირი ცვალებადობა. მაგ. თბილისის რაიონის მცხეთის სასოფლო საბჭოში 1936 წელს ოთხი თავმჯდომარე შეიცვალა, საგურამოში სამი, ნორიოში სამი და სხვ.

საბჭოების და მათი მასობრივი ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის უკანასკნელ ხანებში რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გააძლიერეს ხელმძღვანელობა და განამტკიცეს სასოფლო საბჭოები უკეთესი კადრებით. რაიონებიდან სასოფლო საბჭოებში სამუშაოდ გაგზავნილ იქნა 436 პასუხისმგებელი მუშაკი. ამასთან ერთად 1936 წ. გადამზადებულ იქნა სასოფლო საბჭოს 211 მუშაკი (თავმჯდომარეები და მდივნები). დაუსწრებელ კურსებზე ჩაბმულია 400 კაცი და სხვ. რა თქმა უნდა, ამით დაკმაყოფილება, არ შეიძლება.

სასოფლო საბჭოებმა ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ ის გარემოება, რომ სტალინური კონსტიტუცია, რომელმაც ჯერ არნახულ სიმაღლემდე აიყვანა საბჭოთა დემოკრატია, თვითეული საბჭოსა და თვითეული დეპუტატისათვის ჰქმნის ყველა პირობებს უფრო ზუსტი და ნაყოფიერი მუშაობისათვის. პარტია მოითხოვს კონსტიტუციით მინიჭებულ დემოკრატიზმის პრინციპების ურყევად გატარებას. სასოფლო საბჭოებმა ამის მიხედვით უნდა გარდაჰქმნა თავიანთი მუშაობა.

**აკ. ტოჟუა**

## კოლხიდის ათვისების საბრძოლო ამოცანები

კოლხიდის ჭაობების დასაშრობად დიდი მასშტაბის ჰიდრო-ტექნიკურ სამუშაოებთან ერთად წელს პირველად იწყება ამოშრობილი ფართობების გეგმიანი ათვისება. კოლხიდის მშენებლობისა და სასოფლო - სამეურნეო ათვისების გენერალური გეგმა, რომელიც მოწონებულია საკავშირო სადირექტივო ორგანოების მიერ, ითვალისწინებს დიდი თანხების დაბანდებას დაშრობილი ადგილების ასათვისებლად როგორც საბიუჯეტო ასიგნობების, ისე გრძელვადიანი საკოლმეურნეო - საწარმოო კრედიტების სახით. გარკვეული თანხები ამ ასიგნობებიდან უკვე მიღებულია. იწყება მეტად პასუხსაგები მუშაობა ამ თანხების ეფექტური ათვისებისათვის.

საიდან უნდა დავიწყოთ კოლხიდის ათვისების ღონისძიებათა გატარება და რას უნდა მოხმარდეს ის თანხები, რომლებსაც წელს სახელმწიფო გრძელვადიან სესხად აძლევს კოლხიდის ზონის კოლმეურნეობებს?

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხ. ლ. ბერიას მითითების თანახმად, ეს თანხები უმთავრესად უნდა მოხმარდეს: ციტრუსოვანი, სუბტროპიკული მეხილეობის, ქარსაფარი ზოლებისა და სამეურნეო მნიშვნელობის ტყეების სანერგეთა ბაზის შექმნას კოლხიდის კოლმეურნეობებში. კოლხიდის ასათვისებლად გაღებული გრძელვადიანი კრედიტები უნდა მოხმარდეს აგრეთვე სტანდარტული სათბურების მოწყობას ევკალიპტის ნერგის გამოსაყვანად, ხელოვნური ქარსაფარების გაშენებას, ტყეებისა და ბუჩქნარების გაკაფვა-ამოძირკვას, გაუტეხავი ნიადაგების ღრმად გადახვნას მომავალ წლებში მრავალწლიანი კულტურების გასაშენებლად და სამელიორაციო ქსელის სრულ წესრიგში მოყვანას.

სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით წელს კოლხიდის ზონის (რაიონის მარჯვენა ნაპირის) რაიონთა კოლმეურნეობებში 75 ჰექტარზე მტკიცე საძირკველი უნდა ჩაეყაროს სანერგე მეურნეობას. აქედან 50 პროცენტზე უნდა გაშენდეს ნარინჯოვანთა, ხოლო დანარჩენ ფართობზე სუბტროპიკული მეხილეობისა და ქარსაფარების სანერგეები.

ეს მეტად სერიოზული დავალებაა. ფოთის, ხობისა და ცხაკაიას რაიონებს, სადაც ეს სანერგეები შენდება. ეკისრებათ უდიდესი პასუხისმგებლობა სანერგეების მოწყობის სამუშაოთა ჩატარებისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმ მდგომარეობას, რომ ამ სანერგეებიდან ჩვენ უნდა მივიღოთ ნერგი ნარინჯოვანთა (ციტრუსების) გასაშენებლად 1.300 ჰექტარზე, სუბტროპიკული მეხილეობისათვის 500 ჰექტარზე და ქარსაფარი ზოლის მოსაწყობად 500 კილომეტრზე, მაშინ ნათელი გახდება ამ სამუშაოთა მთელი მნიშვნელობა და მოცულობა.

როგორც ცნობილია, კოლხიდის ამოშრობილი ნიადაგები უმთავრესად გამოყენებულ უნდა იქნას ციტრუსოვანი კულტურების, სუბტროპიკული ხეხილის, ქარსაფარი ზოლებისა და სამეურნეო დანიშნულების ტყეების გასაშენებლად.

ამიტომ სანერგე ბაზის შექმნას კოლხიდის კოლმეურნეობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ათვისების სამუშაოთა ეფექტიურად გაშლისათვის. სადირექტივო ორგანოების გადაწყვეტილება, რომ კოლხიდის კოლმეურნეობებს ჰქონდეთ სანერგე მეურნეობის საკუთარი ბაზა, სავსებით დროულია და ის მტკიცედ და განუხრელად უნდა შესრულდეს.

წელს ციტრუსების სანერგეებისათვის სათესი სკოლა უნდა გაშენდეს 6 ჰექტარზე. მომდევნო წლებისათვის ეს მოგვცემს 45 ჰექტარ სანერგეს. აქედან მიღებული ნერგი კი 1940-41 წლისათვის კოლხიდის ზონაში უზრუნველჰყოფს ციტრუსების გაშენებას 1.300 ჰექტარზე, ე. ი. 500 ჰექტარით უფრო მეტს, ვიდრე გათვალისწინებულია ციტრუსოვანთა გაშენების ხუთწლედითა და კოლხიდის ათვისების გენერალური გეგმით.

გარდა ციტრუსოვანი კულტურებისა, წელს გათვალისწინებულია სუბტროპიკული ხეხილის სანერგეთა ჩაყრა. საქმე იმაშია, რომ მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის გარდა კოლხიდაში ფართო გასაქანი ეძლევა სუბტროპიკული წარმოშობის ისეთ კულტურებს, როგორიცაა მუშმალა, ფეიხოია, იაპონური ხურმა და სხვ. იმ მიზნით, რომ მივიღოთ კოლხიდის ათვისების გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის ნერგი, წელს კოლხიდის ზონის კოლმეურნეობებში (რიონის მარჯვენა ნაპირი) შენდება სუბტროპიკული ხეხილის სანერგე — 16 ჰექტარზე. ეს სანერგე უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში მოგვცემს 500-600 ჰექტარ პლანტაციის გასაშენებლად საკმარის სანერგე მასალას.

ამ ძვირფასი ნაყოფის მომცემ კულტურებთან ერთად კოლხიდის კოლმეურნეობებში ახლავე უნდა გაჩაღდეს ქარსაფარი ზოლების გაშენება. კოლხიდაში ძველი, უსარგებლო ტყე-ბუჩქნარები უკვე იკაფება. ეს კი მწვავედ აყენებს ქარსაფარებისა და სამეურნეო დანიშნულების ტყეების გაშენების ამთავითვე დაწყების საკითხს. სამხრეთ-აღმოსავლეთის ძლიერი ქარებისაგან ახალ ნარგავთა საფუძვლიანად დაუცავად ლაპარაკიც არ შეიძლება ციტრუსოვან და სხვა სუბტროპიკულ კულტურათა განვითარებაზე კოლხიდის სინამდვილეში.

სწორედ ამიტომ სადირექტივო ორგანოების მიერ მოცემული დავალებანი კოლხიდის ათვისების დარგში წელს ითვალისწინებს ხელოვნური ქარსაფარების გაშენებას 50 სიგრძივ კილომეტრზე.

ქარსაფარებისათვის უმთავრესად გამოყენებული იქნება ევკალიპტი, აგრეთვე კრიპტომერია და კვიპაროსი. ქარსაფარები პირველ რიგში გაშენდება იმ ნაკვეთებზე, რომლებიც წელს მზადდება მრავალწლიან კულტურათა გასაშენებლად.

გარდა ზემოაღნიშნული სანერგეებისა, გადაწყვეტილია წელს 10 სტანდარტული სათბურის მოწყობა ევკალიპტების მაღალხარისხოვანი ნერგის გამოსაყვანად. აღნიშნული სათბურები ეწყობა ფოთის, ცხაკაიას და აბაშის რაიონებში.

მთელი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს სანერგეები და სათბურები იყოს სანიმუშო და კულტურული, უზრუნველჰყოფდეს ჯანსაღი ნერგის მოცემას.

კოლხიდაში სანერგე მეურნეობის მოწყობის ამოცანა მწვავედ აყენებს კოლმეურნეობათა გაძლიერებას ციტრუსებისა და სუბტროპიკულ კულტურების კვალიფიციური, გამოცდილი კადრებით. განსაკუთრებული დახმარება ამ მხრივ ესაჭიროება ხობისა და ცხაკაიას რაიონებს, რომელთაც სუბტროპიკულ კულტურათა სანერგე მეურნეობის აგროპერსონალი თითქმის არ გააჩნიათ.

სანერგეებისა და სათბურების მოწყობის გარდა, კოლხიდის ზონის კოლმეურნეობებში წელს ტარდება ნიადაგების ღრმად გადახვნა და ტყე-ბუჩქნარების ამოძირკვა, იმ მიზნით, რომ დღემდე გამოუყენებელი და გაუტეხავი ფართობები მომზადდეს მრავალწლიან კულტურათა გასაშენებლად.

ყველა იმ ღონისძიებათა გასატარებლად, რომლებიც ზევით მოვიხსენიეთ, კოლმეურნეობებს ეძლევათ გრძელვადიანი საწარმოო კრედიტი. ამ კრედიტების ნორმები უკვე დამტკიცებულია. კოლმეურნეები კრედიტებს მიიღებენ აპრილის პირველი რიცხვებიდან.

საბჭოთა ხელისუფლება ათეულ მილიონებს აბანდებს კოლხიდის ჭაობების დაშრობის სამუშაოებზე. შენდება არხები, კოლექტორები, დამბები და წყალსაქჩები მოსახლეობის დასაცავად წყალდიდობისა და ჭაობების საშინელებისაგან. ნიადაგის ამოშრობის შემდეგ სახელმწიფო მილიონობით გრძელვადიან კრედიტებს აძლევს კოლხიდის კოლმეურნეობებს ამოშრობილი მიწების ასათვისებლად. ეს უდიდესი დახმარება, რომელსაც სახელმწიფო უწევს კოლხიდის კოლმეურნეობებს, საოცარი ეფექტით უნდა იქნას გამოყენებული. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სერიოზულობით მოეკიდებიან ამ საქმეს ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები. კოლხიდის რაიონთა ბოლშევიკების ღირსების საქმეა სანიმუშოდ გამოიყენონ დაშრობილი ადგილების ასათვისებლად მთავრობის მიერ გაღებული კრედიტები, უზრუნველჰყონ ამ თანხების მთლიანად პირდაპირი დანიშნულებისამებრ მოხმარება და ყველა ღონისძიების მაღალხარისხოვნად შესრულება.

კოლხიდის ათვისების სამუშაოთა სიძნელეები და თავისებურება დაჟინებით აყენებს როგორც ადგილობრივი ორგანიზაციების, ისე მიწსახკომის მუშაობის რადიკალურად გარდაქმნის საჭიროებას.

ასევე აუცილებელია კოლხიდის საცდელ-სამელიორაციო სადგურის მუშაობის გარდაქმნის დაჩქარება. დროა ამ სადგურის მუშაობა გასცილდეს ლაბორატორიული ცდების ფარგლებს. დროა სადგურმა მტკიცედ მოჰკიდოს ხელი კოლხიდის ზონის კოლმეურნეობათა აგრო-მომსახურებას. პრაქტიკულად დაეხმაროს კოლმეურნეობებს სანერგეების მოწყობასა და სუბტროპიკულ კულტურათა გეგმიანად გაშენებაში.

დაუყოვნებლივ უნდა გარდაიქმნას კოლხიდის ზონის მტს-ებისა და მიწგანების მუშაობაც. დღემდე თუ კოლხიდის ფართობებზე მტს-ების ჭაპანება არ იყო, ამიერიდან ეს „ტრადიცია" უნდა მოისპოს. მძიმედ გადახვნა, ყამირების გატეხა, ტყე-ბუჩქნარის ამოძირკვა, სფერული ქვლების გაყვანა მრავალწლიან კულტურათა გასაშენებლად—აი ახალი სამუშაოები, რაც უნდა აწარმოონ კოლხიდის ზონაში მტს-ებმა.

დრო მოსამზადებელი მუშაობისათვის ცოტაღა დარჩა ახლა მთლიანად ადგილობრივ პარტიულ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებზეა დამოკიდებული მოცემულ სამუშაოთა ვადაზე შესრულება. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა კოლხიდის ათვისების სამუშაოთა წარმოებაში უნდა გვიჩვენონ ბოლშევიკური ოპერატიულობისა და ორგანიზატორობის ნიმუში.

კოლხიდის ათვისების სამუშაოთა მთელი სერიოზულობის შეგნებით, იმ მითითებებისა და დავალებების ღრმა შეგნებით, რომლებიც კოლხიდის რაიონის პარტიული ორგანიზაციებს მისცა ამხ. ლ. ბერიამ, უნდა გავშალოთ მუშაობა ათვისების დარგში 1937 წელს მოცემული დირექტივების შესასრულებლად.

კოლხიდის რაიონის პარტიული ორგანიზაციები სერიოზული გამოცდის წინაშე დგანან. სულ ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რომელი რაიონის ხელმძღვანელობას უფრო შესწევს უნარი საქმით გაამართლოს კოლხიდის ათვისების დარგში პარტიისათვის მიცემული დაპირება.

## საგაზაფხულო ხვნა-თესვა

### მიწსახკომის 25 მარტის ცნობებით

| რაიონები | საგაზაფხულო ხვნა კოლმეურნეობებში: შესრულება ჰექ. | საგაზაფხულო ხვნა კოლმეურნეობებში: პროცენტობით | თესვა საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში: შესრულება ჰექ. | თესვა საკოლმეურნეო გლეხურ სექტორში: პროცენტობით |
|---|---|---|---|---|
| ახალქალაქი | 3 | | 17 | |
| ბოგდანოვკა | — | — | — | — |
| ახალციხე | 649 | 18.5 | 1099 | 8.7 |
| ადიგენი | 146 | 15.3 | 95 | 1.1 |
| ასპინძა | 102 | 5.5 | 466 | 4.8 |
| ხაშური | 3799 | 56.2 | 3516 | 13.8 |
| გორი | 5292 | 37.4 | 1691 | 7.9 |
| კასპი | 3507 | 51.1 | 2108 | 19.7 |
| ბორჯომი | 321 | 9.6 | 265 | 4.5 |
| გურჯაანი | 4473 | 55.4 | 2891 | 22.0 |
| სიღნაღი | 10565 | 68.3 | 6701 | 30.8 |
| თელავი | 3933 | 50.9 | 2301 | 13.6 |
| ყვარელი | 1629 | 34.8 | 227 | 3.0 |
| ლაგოდეხი | 1127 | 35.9 | 283 | 2.9 |
| თბილისი | 6863 | 83.1 | 5476 | 41.1 |
| ყარაია | 1902 | 89.6 | 94 | 2.7 |
| ბორჩალო | 3720 | 70.8 | 740 | 8.2 |
| ლუქსემბურგი | 1647 | 47.0 | 1651 | 28.2 |
| წალკა | 201 | 1.4 | 237 | 1.0 |
| დუშეთი | 1640 | 33.7 | 462 | 3.9 |
| ალბულაღი | 2502 | 42.6 | 2413 | 20.8 |
| საგარეჯო | 3175 | 30.4 | 2133 | 15.5 |
| ბაშკიჩეთი | 679 | 12.0 | 143 | 1.4 |
| თიანეთი | 3120 | 7.0 | 329 | 3.8 |
| ყაზბეგი | 4 | 1.9 | — | — |
| სამხრეთ-ოსეთის ა. ო. | 5488 | 42,3 | 4272 | 15.2 |
| სულ აღმოსავლ. საქ. | 63687 | 33.8 | 39610 | 11.0 |
| ქუთაისი | 8116 | 67.7 | 736 | 2.8 |
| სამტრედია | 5787 | 61.1 | 58 | 0.4 |
| წულუკიძე | 3417 | 68,5 | — | — |
| ვანი | 5063 | 99.2 | 85 | 0.8 |
| ბაღდადი | 2761 | 63.6 | — | — |
| ჯუღელი | 1417 | 20.3 | 291 | 3.0 |
| ჩხარი | 2270 | 40.9 | 997 | 11.1 |
| ჭიათურა | 4072 | 24.9 | 1627 | 5.8 |
| ორჯონიკიძე | 323 | 3.8 | 274 | 2.6 |
| ტყიბული | 830 | 16.4 | 279 | 3.0 |
| ონი | 39 | 0.9 | 49 | 0.8 |
| ამბროლაური | 162 | 2.3 | 135 | 1.6 |
| ცაგერი | 338 | 9.1 | 292 | 3.4 |
| ქვემო-სვანეთი | | | | |
| აბაშა | 8559 | 70.5 | | |
| ცხაკაია | 6126 | 55.9 | 276 | 1.5 |
| გეგეჭკორი | 6584 | 89.3 | | |
| ზუგდიდი | 5703 | 68.3 | | |
| ხობი | 2412 | 42.8 | | |
| წალენჯიხა | 668 | 37.3 | 6 | |
| ჩხოროწყუ | 1335 | 27.6 | | |
| მახარაძე | 1374 | 25.1 | | |
| ლანჩხუთი | 3438 | 41.7 | | |
| ჩოხატაური | 1337 | 29.7 | | |
| ზემო-სვანეთი | — | — | | |
| ფოთი | 356 | 52.7 | 20 | 1.7 |
| აფხაზეთის ასსრ | 19897 | 52.1 | 197 | 0.3 |
| აჭარის ასსრ | 622 | 12.9 | 59 | 0.3 |
| სულ დასავ. საქ. | 93009 | 45.2 | 5381 | 1.5 |
| სულ რესპუბლიკაში | 156358 | 39.6 | 44991 | 6.2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვემერის სისტემის უნივერსალური მღარავი ჩარხები, რომლებითაც შეიძლება რანდვა, ლესვა და ღარვა. წინათ ეს ჩარხები უცხოეთიდან შემოჰქონდათ, მათ ამზადებს ძერჟინსკის სახელობის ქარხანა მოსკოვში. თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში დადგმულია მთელი რიგი ასეთი ჩარხები. სურათზე: სტახანოველი ზეინკალი ამხ. ოვსიანიკოვი, რომელმაც დღიურ რეკორდს მიაღწია—გეგმა 560 პროცენტით შეასრულა, ჩარხ „ძერჟინეცის“ მომართვაზე.
ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

# ჩვენს საწარმოებს სტახანოვურად გადავაქცევთ

ლანჩხუთის რაიაღმასკომის ადგილობრივ მრეწველობას მხოლოდ ერთი წლის ისტორია აქვს. გასული წლის პირველი სექტემბრისათვის ყველა საწარმო ჩამორჩენილი იყო, სამეურნეო ანგარიშის დანერგვას, ნაკლები ყურადღება ექცეოდა. საწარმოებს და ცალკეულ საამქროებს შორის გაშლილი არ იყო სოციალისტური შეჯიბრება, გამოვლინებული არ იყვნენ მოწინავე ადამიანები—სტახანოველები და სხვ.

საქ. კ. პ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომმა, რაიაღმასკომმა და მრეწველობის განყოფილებამ ყურადღების ცენტრში დააყენეს ადგილობრივი მრეწველობის აღმავლობის საკითხი. გაიშალა სოცშეჯიბრება. გამოვლინებული იქნენ საუკეთესო სტახანოველები და განმტკიცდა სამეურნეო ანგარიშიანობა.

ამის შედეგად მივიღეთ, ის რომ ყველა საწარმო გარღვევიდან გამოსულია და საგრძნობი დაგროვება აქვს. სპეციალურმა კომისიამ შეამოწმა საწარმოთა მუშაობა. გამოირკვა, რომ შეჯიბრების ფართოდ გაშლამ უდიდესი შედეგი მოუტანა ლანჩხუთის ადგ. მრეწველობას, რომელმაც გასული წლის გეგმა ბრწყინვალედ შეასრულა.

შეჯიბრებაში თავი ისახელეს ნიგვზიანის ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა. აღსანიშნავია ნაკაშიძის, აფხაზავას, იმნაძის და სხვათა მუშაობა; მათ სტახანოვური მეთოდის გამოყენებით შესძლეს გეგმის 200 პროცენტით შესრულება, ნიგვზიანის სახერხი ქარხანა დაჯილდოებულ იქნა გარდამავალი დროშით, სტახანოველები ნაკაშაძე, აფხაზავა და იმნაძე თითო თვის ხელფასით, ხოლო დანარჩენი მოწინავე მუშები ნახევარ-ნახევარი თვის ხელფასით.

მიმდინარე წლის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად სუფსის ხე-ტყის ქარხნის მუშათა კოლექტივმა გამოიწვია ნიგვზიანის ქარხნის მუშები.

ამრიგად არც ერთი წარმოება და საამქრო არ არის დარჩენილი სოცშეჯიბრების გარეშე. ლანჩხუთის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველომ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ნიგვზიანში და სუფსაში შენდება სრულიად ახალი სახერხი ქარხნები ნაცვლად ძველი დანგრეული ქარხნებისა. არყისა და კონიაკის ქარხანა წელს გამოუშვებს 2.000.000 მანეთის პროდუქციას, ეწყობა საავეჯო ქარხნის მექანიზაცია, რაც უნდა დამთავრდეს აპრილში. აშენდა ქალაქის 100—ცხენისძალიანი ელსადგური. მრეწველობა გააშენებს სპეციალურ ბაღსანერგეს, რომელიც დააკმაყოფილებს მთელი რაიონის მოსახლეობას მცენარეებით, ნერგითა და ყვავილებით.

ადგილობრივმა მრეწველობამ უკვე გახსნა სხვადასხვა სახელოსნოები. ყველაფერი ეს იმის მომასწავებელია, რომ სოციალისტური შრომის ენტუზიასტები იბრძვიან მრეწველობის აღმავლობისათვის, სტახანოველები აცხადებენ, ჩვენი წარმოება უნდა გადავაქციოთ სტახანოვურ წარმოებადო.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მეხუთე პლენუმი გვავალებს, რომ დირექტორები და წარმოების ხელმძღვანელები უნდა ეხმარებოდნენ სტახანოველებს, პირადად იცნობდნენ მათ და სწორად ხელმძღვანელობდნენ. ამ მეთოდით თუ ვიმუშავებთ, უთუოდ მივაღწევთ უდიდეს წარმატებას. ჩვენს საწარმოებს გადავაქცევთ სტახანოვურად.

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა მეტი ყურადღება და დახმარება უნდა გაუწიოს ლანჩხუთის მრეწველობას.

ვ. ბრეგვაძე.
ადგილობრივ მრეწველობის მმართველი.

საგაზაფხულო ხვნა-თესვა

# ჩამორჩენა ისევ გრძელდება

(კასპ. „კომუნისტის“ საკვ. კორესპონდენციიდან)

[illegible]

# სთესენ უვარგის თესლს

[illegible]



გორის რაიონის სოფ. კარალეთის ამხ. ქართველიშვილის სახელობის კოლმეურნეობამ ხორბლეულის თესვის გეგმა 25 მარტისათვის 100 პროცენტით შეასრულა. ამჟამად კოლმეურნეობა აწარმოებს შაქრის ჭარხლის თესვას. სურათზე: შაქრის ჭარხლის თესვა კარალეთის კოლმეურნეობის მინდვრებზე. ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

## გ. გოგუაძე

# პედაგოგების მომზადება

სოციალიზმის შენებაში ჩაბმულ მშრომელთა კულტურული მოთხოვნილების გიგანტურმა ზრდამ, სკოლების ქსელის ფართოდ გაშლამ და საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებამ პედაგოგთა კადრების დიდი რაოდენობა მოითხოვა. დაწყებითს სკოლებში, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების პირველ ოთხ კლასში ამჟამად 12458 მასწავლებელი მუშაობს. დაწყებითი სკოლებისა და საშუალო სკოლის უმცროსი კლასებისათვის პედაგოგთა კადრების მომზადებას საქართველოში 55 პედაგოგიური სასწავლებელი ემსახურება — 282 კურსით და 10.112 მოსწავლით. პედაგოგიური სასწავლებლები უზრუნველჰყოფენ პედაგოგთა ნაციონალური კადრების მომზადებას ქართული, რუსული, სომხური, თურქული, აფხაზური, ოსური, ბერძნული და გერმანული სკოლებისათვის. დაწყებითი სკოლებისა და უმცროსი კლასების მასწავლებელთა შემადგენლობის 54 % საშუალო პედაგოგიური განათლების მქონეა, ასე, რომ დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა ცენზის სიმაღლის მხრივ ჩვენს რესპუბლიკას საბჭოთა კავშირში პირველი ადგილი უჭირავს.

შეუჩერებლივ იზრდება პედაგოგიური სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზაც: მოსწავლეთა 70% სახელმწიფოსაგან უზრუნველყოფილია სტიპენდიებით, პედაგოგიური სასწავლებლებისათვის 14 ახალი შენობა აიგო, გაფართოვდა სასწავლო მოწყობილობა. საშუალო პედაგოგიური სასწავლებლების ბიუჯეტი 10 მილიონ მანეთს აღემატება.

უმჯობესდება პედაგოგიური სასწავლებლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი—საშუალო პედაგოგიურ სასწავლებლებში კურსდამთავრებულთაგან უკვე მრავალნი მოგვეპოვებიან ისეთები, რომელნიც საუკეთესოდ დაეუფლნენ პედაგოგიურ ოსტატობას და სკოლის მაღალი ხარისხისთვის ბრძოლაში მისაბაძ ნიმუშებს იძლევიან.

მიუხედავად ამისა, მთელი გარკვეულობით უნდა იქნას აღიარებული, რომ ჩვენი საშუალო პედაგოგიური სასწავლებლების მუშაობა ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება სოციალისტური სამშობლოს ბავშვების კომუნისტურად აღმზრდელთა მომზადების უდიდეს ამოცანებს, რომ ჩვენი პედაგოგიური სასწავლებლები სათანადოდ ვერ სწყვეტენ პედაგოგიური მუშაობის ოსტატების, მცოდნე და კულტურულ მასწავლებელთა მომზადების ამოცანას. დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ უნდა იქნას გამოსწორებული პედაგოგიური ფაკულტეტების მუშაობა და ბოლო მოეღოს ამ საქმეში სახელმწიფოებრივი დანაშაულის მოსაზღვრე მდგომარეობას, — ჯერ კიდევ არა გვაქვს განხორციელებული, მიუხედავად იმისა, რომ პარტია და მთავრობა ყველა პირობას ჰქმნიან პედაგოგიური სასწავლებლების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

პედაგოგიური სასწავლებლებას გამოკვლევის შედეგად შეგროვილი მასალები ცხადად ადასტურებს, რომ მომავალი მასწავლებლები, ზოგს პედაგოგიურს სასწავლებელში, ვერ იარაღდებიან საბჭოთა მასწავლებლისათვის საჭირო და სავალდებულო საზოგადოებრივ-პოლიტიკური, მეცნიერული, პედაგოგიურ-მეთოდიური ცოდნით და პედაგოგიური ოსტატობით. მაგალითად, გეგეჭკორის პედაგოგიურ სასწავლებელში კურსდამთავრებულებმა პატარა განცხადებაში ხუთმეტამდე უხეში გრამატიკული და ორთოგრაფიული შეცდომა დაუშვეს. დუშეთის პედაგოგიურ სასწავლებელში მეორე კურსის მოსწავლემ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი აზერბაიჯანში დაასახელა, იმავე სასწავლებლის მოსწავლენი მეტად სუსტობენ არითმეტიკაში, გასული სასწავლო წლის ბოლოს პედაგოგიურ სასწავლებელთა უმრავლესობაში საგამოცდო წერითი მუშაობა დედა-ენაში, ლიტერატურასა და მათემატიკაში არადამაკმაყოფილებლად იქნა შესრულებული. ზოგი პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლე სრულებით არ იცნობს ან მეტად ზერელედ იცნობს დაწყებითი სკოლის პროგრამებს და სახელმძღვანელოებს, არ იცნობს და გაკვეთილებზე ვერ იყენებს თვალსაჩინო სასწავლო ხელსაწყოებს, წარმოდგენაც არა აქვს ორ კლასთან ერთდროულად მეცადინეობის ხერხებზე და ა. შ.

ცხადია, ასეთი მუშაობით არ მომზადდება დაწყებითი სკოლის სპეციალისტი მასწავლებელი. არის შემთხვევები, როცა პედაგოგიურ სასწავლებელში კურსდამთავრებულს არ გააჩნია საბჭოთა მასწავლებლის საპატიო მოვალეობისა და უდიდესი პასუხისმგებლობის შეგნება, არღვევს დისციპლინას, აცდენს სამუშაო დღეებს, არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ იმაღლებს მომზადების დონეს, არ იბრძვის სწავლა-აღზრდის მაღალი ხარისხისათვის. ისეთი სამარცხვინო შემთხვევებიც გვაქვს, როდესაც პედაგოგიური სასწავლებლებიდან გამოსული მასწავლებლები საბჭოთა სკოლისათვის სავალდებულო ელემენტარულ პრინციპებს და წესებს არ იცნობენ, მოსწავლეთა ფიზიკურ დასჯას მიმართავენ (ხუნჯუკაშვილი—გურჯაანის რაიონში, შავდია—გეგეჭკორის რაიონში და სხვ.)

პედაგოგიური განათლების ხარისხის ჩამორჩენაში გარკვეულად გამოჟღავნდა სკოლისა და მასწავლებლის როლის „კვდომის“ სულელური თეორიის, პედოლოგიურ დამახინჯებათა, პედაგოგიკის დანაშაულებრივი შეუფასებლობის გავლენა და გამოძახილი. სახელწოდებაც—„პედაგოგიური ტექნიკუმი“—პედაგოგიური სასწავლებლის უდიდესი მნიშვნელობის და პასუხისმგებლობის უგულებელყოფისა და წარმოებასთან სკოლის შეზრდის შესახებ „მემარცხენე“ ბოდვის უეჭველ გამოხმაურებას წარმოადგენს. იმავე შეუფასებლობის და უკუღმართ დამახინჯ გავლენათა შედეგს წარმოადგენს ის შეუწყნარებელი და დანაშაულებრივი მოვლენა, როდესაც პედაგოგიურ სასწავლებლებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ პედაგოგიკის ისტორიისა და კერძო მეთოდიკების ცოტად თუ ბევრად გამართული პროგრამები და სახელმძღვანელოები, როდესაც პედაგოგიური სასწავლებლები თავის მოსწავლეებს არ აცნობენ და ვერ აცნობენ პედაგოგიურ მემკვიდრეობას. პედაგოგიური განათლების ჩამორჩენას ბოლო უნდა მოვუღოთ.

პედაგოგიური სასწავლებელი— მართებულია პედაგოგიური ტექნიკუმების ნაცვლად ასეთი სახელწოდების შემოღება—მცოდნე, პედაგოგიური ოსტატობით მტკიცედ შეიარაღებული და კულტურული მასწავლებლის მომზადების ნამდვილ კერად უნდა ვაქციოთ. პედაგოგიური სასწავლებლების მუშაობის გადაჭრით და ძირიანად გადახალისებას საფუძვლად უნდა დაედოს საკ. კ.პ. (ბ) ც. კ. 1936 წლის ივლისის ისტორიული დადგენილება—განსახკომების სისტემაში პედოლოგიურ დამახინჯებათა შესახებ. ამ დადგენილების სწორად და სრულად განხორციელებისათვის ბრძოლის ნიადაგზე პედაგოგიურმა სასწავლებლებმა მეტად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების, და პედაგოგების უფლებებში აღდგენის საქმეში.

პედაგოგიურმა სასწავლებლებმა უნდა უზრუნველჰყონ უფლებებში აღდგენილი პედაგოგიკის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენება: პედაგოგიურმა სასწავლებლებმა, როგორც წესი, უნდა უზრუნველჰყონ მასწავლებელთა ისეთი კადრების გამოშვება, რომლებიც მტკიცედ იქნებიან აღჭურვილნი მარქსისტულ-ლენინური თეორიით, მეცნიერებათა საფუძვლებით საიმედოდ ექნებათ შეთვისებული აღზრდისა და სწავლების თეორია და პრაქტიკა. უფლებებში აღდგენილმა პედაგოგებმა მთელი სისრულით უნდა გამოიყენონ და განახორციელონ თავისი უფლება და როლი, შეითვისონ მეცნიერული პედაგოგიკის თეორია და გახდნენ პედაგოგიური საქმის საუკეთესო ოსტატები.

პედაგოგიურ სასწავლებელს ევალება სისტემატური კავშირი იქონიოს თავის ყოფილ მოსწავლეებთან —ახალგაზრდა მასწავლებლებთან, დაეხმაროს მათ, შეისწავლოს სკოლაში მათი მუშაობის ძლიერი და სუსტი მხარეები და ეს გამოიყენოს თავისი საკუთარი მუშაობის გასაუმჯობესებლად. თავის სამოქმედო რაიონში პედაგოგიური სასწავლებელი პედაგოგიური აზრისა და პედაგოგიური მუშაობის სანიმუშო ცენტრად უნდა იქცეს, სკოლებს გადასცეს თავისი საუკეთესო მიღწევა და გამოცდილება და სკოლებიდანაც გადმოიღოს გამოცდილების წასაბაძი ნიმუშები—ასეთ საფუძველზე უნდა მოეწყოს პედაგოგიურ სასწავლებლებში პედაგოგიური კაბინეტები.

ორწლიანობა და მოსწავლეთა აკადემიური სისუსტე პედაგოგიურ სასწავლებლებშიაც შეუწყნარებელ რაოდენობას აღწევს: მაგალითად, ჩხოროწყუს პედაგოგიური სასწავლებლის მეორე კურსზე ორწლიანები 10 პროცენტს შეადგენენ, ზუგდიდის პედაგოგიური სასწავლებლის მეორე კურსზე—12 პროცენტს, ასპინძისა—7,4 პროცენტს, თბილისის ოსურ პედტექნიკუმში ამ სასწავლო წლის მეორე მეოთხედში სუსტ მოსწავლეთა რაოდენობა 27 პროცენტს უდრის, ადიგენის პედსასწავლებელში—38,1 პროცენტს. და სხვ.

ამის მიზეზს პედაგოგიური სასწავლებლები გარეთ ეძებენ—ყველა ცოდვას არასრულ საშუალო სკოლებს აკისრებენ. მართალია, არასრული საშუალო სკოლები ჯერ კიდევ ვერ გვაძლევენ სათანადო ცოდნით აღჭურვილ ახალგაზრდობას, მაგრამ პედაგოგიურ სასწავლებლებს ეს არ აძლევს უფლებას პასუხისმგებლობა მოიხსნან, რადგან მათ აქვთ ყველა პირობა და შესაძლებლობა იმისათვის, რომ სკოლიდან მოტანილი ნაკლი გამოასწორონ და თავისი კურსის ნორმალურად გავლა უზრუნველჰყონ. ლიბერალიზმის ყოველგვარი გამოვლინების გადაჭრით აღკვეთისა და ახალგაზრდობისადმი ღრმესი სიყვარულის საფუძველზე დამყარებული სერიოზული, სწავლების განხორციელების გზით პედაგოგიურ სასწავლებლებში უნდა მოისპოს ორწლიანობა და აკადემიური სისუსტე.

პედაგოგიური სასწავლებლების მუშაობაში სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ სრულებით არ არის ან ძალიან სუსტადაა დაყენებული მომავალი მასწავლებლების ესთეტიკური აღზრდა. ზოგ პედსასწავლებელში არ ასწავლიან სიმღერას, მუსიკას, ხატვას. პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლეები საკმაოდ მომწიფებულნი არიან იმისათვის, რომ მთელი შეგნებით და ძალღონით იბრძოლონ ნაკლის გამოსწორებისა და ცოდნის გაფართოვებისათვის—საჭიროა მხოლოდ ხელმძღვანელობა. ამ ახლო ხანში ცხაკაიას პედაგოგიური სასწავლებლის ექსკურსანტ-მოსწავლეთა საუბარმა განათლების სახალხო კომისართან ნათელჰყო, თუ რა მნიშვნელოვან წარმატებას აღწევს ახალგაზრდობა თავის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საერთო განვითარებაში კლასის გარეშე კითხვის ფართოდ გაშლით.

პედაგოგიურმა სასწავლებლებმა უნდა განახორციელონ ლენინისა და სტალინის მითითება საბჭოთა მასწავლებლის მომზადებაში უმაღლესი დონის მიღწევის შესახებ. პედაგოგიური სასწავლებლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა შემადგენლობამ თავის სახელის, ღირსების და გმირობის საქმედ უნდა მიიჩნიოს საქართველოს და ა.-კ. ბოლშევიკთა საუკეთესო ხელმძღვანელის ამხ. ბერიას მიმართვებზე ნამდვილი ბოლშევიკური საქმით გამოხმაურება და პედაგოგიური სასწავლებლების მუშაობის ხარისხის აყვანა საბჭოთა კულტურული მასწავლებლის მომზადების უდიდეს ამოცანათა სიმაღლეზე.

# სამედიცინო გამომცემლობა ჩვენში

ექ. ალ. მინდა[illegible]

საქართველოს სახკომსაბჭოს 1937 წლის 4 თებერვლის დადგენილებით საქართველოს სახმედგამი გადაკეთდა ბიომედგამომცემლობად.

აღნიშნულ ორგანიზაციას გასული წლის ნოემბერში გადაეცა სახელგამის ყოფილი მესამე სტამბა, რომლის უკეთ მოსაწყობად წელს 100 ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს.

სამედიცინო ლიტერატურის გამომცემლობაზე მიმდინარე წელს გეგმით 1.800.000 მანეთია განკუთვნილი, ნაცვლად 1936 წლის 259.200 მანეთისა.

ბიომედგამომცემლობა ძირითად ყურადღებას აქცევს უმაღლესი და საშუალო სამედიცინო სკოლების სახელმძღვანელოების გამოცემის საკითხს.

უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლებისათვის წელს გამოიცემა 21 სახელმძღვანელო, საშუალო სამედიცინო სკოლებისათვის — 11 სახელმძღვანელო. საშუალო სამედიცინო სკოლები ქართული სახელმძღვანელოების ყველაზე მეტ ნაკლებობას განიცდიან და აღნიშნული 11 სახელმძღვანელოს გამოცემას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლიან.

წელს გამოიცემა აგრეთვე სამეცნიერო შრომები, დისერტაციები და სამედიცინო პოპულარული ლიტერატურა. ბიოლოგიურ დარგში გამოიცემა 47 ფორმა, 18.000 ტირაჟით.

გეგმით გათვალისწინებულია უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების სახელმძღვანელოთა ზოგიერთი ქართული თარგმანის პირველი გამოცემა, მაგ., ისეთი გავრცელებული სახელმძღვანელოებისა, როგორიცაა შტრიუმპელის „შინაგან სნეულებათა კერძო პათოლოგიისა და თერაპიის კურსის“ პირველი ტომი პროფ. ნ. მახვილაძის რედაქციით; პროფესორ ფელდმანისა და ვოლფსონის „ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებანი ბავშვთა ასაკში“ პროფ. ნ. ასპისოვის რედაქციით; ულესკო-სტროგანოვის „მიკროსკოპიული დიაგნოსტიკა გინეკოლოგიაში“ (დოც. ე. შალამბერიძის თარგმანი); პროფ. გოფუნგისა და ლუკომსკის „პირისღრუს და კბილების სნეულებათა კლინიკა“ (დოც. ა. ურუშაძისა და ექ. მარგალეიშვილის თარგმანი); პროფ. სკვარცოვის „ფარმაკოლოგია“ (დოც. ცქიმანაურის თარგმანი); პროფ. მასლოვის პედიატრია პროფ. ნანეიშვილის რედაქციით.

მიმდინარე წლის გეგმით უნდა გამოიცეს ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოები, რომელთა შორის აღსანიშნავია პროფ. ვლ. ასათიანის „ბიოლოგიური ქიმია“. პროფ. ი. თიკანაძის „მეანობა“, პროფ. ბ. ღოღობერიძის „ოპერატიული გინეკოლოგია“, პროფ. ი. ქუთათელაძის „ანალიზური ქიმია“.

დაიბეჭდა „ა-კ ქირურგთა მეორე ყრილობის ანგარიში“ პირველი ტომი (რუსულად), და იბეჭდება მეორე ტომი. წელს გამოიცემა „ა-კ სამალარიო ყრილობის ანგარიში“ (რუსულად) ერთ ტომად. ამას გარდა მიმდინარე წლის გეგმით უნდა გამოიცეს კოლექტიური შრომა „ფარმაკოპეა“ პროფ. ი. ქუთათელაძისა და ექ. გ. მამალაძის რედაქციით.

ცალკე უნდა აღინიშნოს ს.ს.ს.რ. ჯანსახკომისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ორგანო—ჟურნალი „საბჭოთა მედიცინა“, რომელიც გამომცემლობის ხელში გადავიდა 1936 წლის 1 აპრილიდან. ჟურნალის გამოცემის საქმე საგრძნობლად გამოსწორდა; იგი უფრო სისტემატურად გამოდის და ერთიორად გაიაფდა (ცალკე ნომერი ღირს 1 მან. და 50 კაპ. წლიურად 18 მანეთი). ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში შეყვანილი არიან 23 სხვადასხვა სპეციალობის პროფესორ-დოცენტები.

მიმდინარე წელს ჟურნალზე ხელისმოწერა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, რაც მნიშვნელოვან ნაკლად უნდა ჩაითვალოს. გამომცემლობას დროულად უნდა მიეღო ზომები ჟურნალის გავრცელებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალში არაა დაცული ერთი სტილი. მაგალითად, 1837 წლის პირველ ნომერში მოთავსებულია ქს. გიგინეიშვილის შრომა „ეკლამპსიის შემთხვევები“, სადაც ვხვდებით სიტყვას „სიკვდილიანობა“—(გვ. 23) და „სიკვდილობა“ (გვ. 27). ჟურნალის ამავე ნომერში მოთავსებულ გ. ქვიტაიშვილის შრომაში („ლიმონმჟავა ნატრიუმის თერაპევტიული ღირებულება პარტახტიან ტიფის დროს“) ვხვდებით სიტყვას „თერაპევტიული“ და „თერაპიული“ (გვ. 31). მრავალი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ ეს არ შეადგენს ჩვენს დღევანდელ თემას.

ჟურნალში მოთავსებულ ზოგ შრომაში არაქართველი ავტორების გვარი მოყვანილია მხოლოდ არაქართული ტრანსკრიპციით. ზოგში კი პირიქით არაქართველი ავტორების გვარი მხოლოდ ქართული ტრანსკრიპციითაა აღნიშნული. არაქართველ ავტორთა გვარები უნდა დაიწეროს ჯერ ქართული ტრანსკრიპციით და ფრჩხილებში ჩაისვას ტრანსკრიპცია იმ ენაზე, რომელზედაც დაბეჭდილია ავტორი (რუსული, ფრანგული და სხვ).

გაზრდილი კულტურული მოთხოვნილება სამედიცინო გამომცემლობისადმი ავალებს ბიომედგამომცემლობას 1937 წლის გეგმის ბოლშევიკურად შესრულებას და მუშაობის კიდევ უკეთესი ტემპით წარმართვას, რითაც უნდა განხორციელდეს სამედიცინო გამომცემლობის დიდმნიშვნელოვანი და საპატიო საქმე.

# ჩვენ გვწერენ

## არ გაუვა ოინი

ალ. ხაზიურმა 1929 წ. ცოლად შეირთო ალექსანდრა შათირიშვილი. რამდენიმე წელიწადი გურჯაანში იცხოვრეს, ხოლო 1931 წ. თბილისში გადმოსახლდნენ.

თბილისში ხაზიურს ხასიათი შეეცვალა: ცოლს მუდამდღე ეჩხუბებოდა, გადასწყვიტა გაეშვა იგი, მაგრამ უნდოდა ეს საქმე მოხერხებულად მოეჭახრაკებინა.

ხაზიური თავისი შავბნელი მიზნების განსახორციელებლად ასე მოიქცა: ცოლშვილი თელავში სიდედრთან გაისტუმრა და თბილისში დარჩა, ოჯახის ნივთები სხვებს მიაბარა, თვითონ კი მიიმალა, ცოლს კი სწერდა: ჯერ არ ჩამოხვიდე თბილისშიო. უკანასკნელ წერილში აცნობა: გშორდები და სახსოვრად ბავშვის მეტს ვერაფერს გიტოვებ, თბილისში რომ წამოხვიდე, თან ვინმე წამოიყვანე, ჯავრისაგან გული არ გაგისკდესო. ქალი თბილისში ჩამოვიდა. ოთახი მართლაც ცარიელი დახვდა.

გადის წლები. ხაზიური ხანდახან მოუვარდება „ცოლს“ და დაემუქრება, არ მიჩივლო, თორემ მოგკლავო. სხვაფრივ თავს არ იწუხებს, ბავშვის აღზრდისათვის კაპეიკიც არ გაუმეტებია.

შათირიშვილმა სამართლის საძიებლად გურჯაანის რაისასამართლოს მიმართა. სასამართლომ ეს საქმე შარშან 29 დეკემბერს გაარჩია, მაგრამ ხაზიური მოხერხებულად მოიქცა, განაცხადა: ცოლს ვუვრიგდებიო. სასამართლომაც დაუჯერა გაქნილი კაცის ამ სიტყვას და შათირიშვილის ქალის საჩივარი ამით დაამთავრა. ხაზიურმა ამ ოინით ალიმენტისაგან თავი დაიძვრინა და კვლავინდებურად აბუჩად იგდებს ცოლ-შვილს.

ვფიქრობთ, გურჯაანის რაიპროკურორი ბოლოს მოუღებს ამ მდგომარეობას.

ვ. ხინზაგა

## ადგილკომი უკანონოდ მოიქცა

თბილისის საქონლის სადგურში ვმუშაობ მწონავად. გასული წლის 6 ნოემბერს საწყობში შემოვიდა ჩვენი ადგილკომის თავმჯდომარე ამხ. ჰინჭარაძე (სხვებთან ერთად). მან საწყობში ნახა რამდენიმე კილოგრამი ლურსმანი. ეს დანაშაულად ჩამითვალა და საქმე საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს გადასცა. სასამართლომ სცნო, რომ ლურსმანი მცირე რაოდენობით ყოველთვის საჭიროა საწყობში. კლიენტების ჩვენებებით დადასტურდა, რომ ეს ლურსმანი მათი მოტანილი იყო. მე გამამართლეს. ადგილკომის თავმჯდომარემ იწყინა: როგორ თუ გაამართლესო! ადგილკომის პლენუმი მოიწვია. პლენუმმა საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს ეს დადგენილება გააპროტესტა და სასამართლოს შემადგენლობაც დაშალა.

იმედია სახაზო კომიტეტი შეცვლის უმართებულო დადგენილებას.

ტრიფონ მაღრაძე.

## სად არის ჩემი 90 მანეთი?

გასული წლის 8 აგვისტოს თბილისის V საფოსტო განყოფილებიდან ორჯონიკიძის რაიონის ბორითის სასოფლო საბჭოში ანუსია ბარბაქაძის სახელზე გავგზავნე 90 მან. ადრესატს ფული დღემდის არ მიუღია. V საფოსტო განყოფილებამ სამჯერ გაგზავნა შეკითხვა ორჯონიკიძის რაიონის კავშირგაბმულობის განყოფილებაში, მაგრამ პასუხი არ აძლევენ.

სად დაიკარგა ჩემი ფული?

ს. გორგაძე



გაზაფხული აჭარაში. ხედი სამკურნალო კომისიის დასასვენებელ სახლთან— ქობულეთში.
ფოტო იგ. იმედაძისა

# საბჭოთა აჭარა

ბათუმი. „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან

## „ანზორი“ ხულოში

ამ დღეებში ხულოს რაიონის საკოლმეურნეო თეატრში მეორედ დაიდგა ს. შანშიაშვილის პიესა „ანზორი“, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა.

თეატრის დარბაზში, რომელიც მაყურებლებს ვერ იტევდა, მრავლად იყვნენ შორეული სოფლებიდან ჩამოსული კოლმეურნეები.

## პიონერთა საზაფხულო ბანაკი

ბათუმის ალკკ რაიკომმა გადასწყვიტა მიმდინარე წლის ზაფხულში გახსნას პიონერთა ბანაკი მწვანე კონცხზე.

პიონერთა ბანაკი მოთავსდება ჩაის ტექნიკუმში, რომელიც მდებარეობს მწვანე კონცხზე ყველაზე უფრო ლამაზ ადგილას.

## საკოლმეურნეო სტადიონი

ამ ზაფხულს სოფ. კახაბერში (ბათუმის რაიონი) შენდება საკოლმეურნეო სტადიონი. მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი კოლმეურნე ახალგაზრდები.

ზაფხულის სასპორტო სეზონისათვის კახაბერის ახლო მდებარე სოფლების ახალგაზრდები ადგენენ ფეხბურთის გუნდებს და აყალიბებენ ფიზკულტურის წრეებს.

## მომღერალთა და მუსიკოსთა წრეები

აჭარის ცაკთან არსებული ხელოვნების კომიტეტი აყალიბებს მომღერალთა წრეებს, ინსტრუმენტულ ანსამბლს (ჩონგური, ჭიბონი, ზურნა, დოლი და სხვა), ქორეოგრაფიულ წრეებს. წრეები მოეწყობა: ქობულეთში, ხუცუბანში, მახუნცეთში, ქედაში, მერისში, ხულოში, ხიხარსა და სხვა სოფლებში.

წრეებისათვის ხელმძღვანელებს ამზადებს აჭარის მუსტექნიკუმი კომპოზიტორ ალ. ფარცხალაძის ხელმძღვანელობით.

## საშობიარო სახლები

აჭარის ჯანსახკომი ჩაქვსა და ხულოში აშენებს ახალ საშობიარო სახლებს. მშენებლობა წელს დამთავრდება.

ბათუმის ქალაქის საბჭო მანქანათმშენებლობის ქარხანასთან აშენებს ახალ პოლიკლინიკას. მშენებლობაზე დაიხარჯება 80.000 მანეთი.

# მესაზღვრის სიფხიზლე

შავ ზღვაზე, საქართველოს სანაპიროებთან, 15 მარტს მოხდა ასეთი შემთხვევა: ამ დღეს ტუაპსეს მხეცსახოცი სარეწაოს 3 პატარა გემს და თევზსაჭერ გემ „თბილისს“ ზღვაში მოუსწრო უძლიერესმა ქარიშხალმა, რომელიც 10 ბალამდე აღწევდა.

გემებზე იმყოფებოდა 35 კაცი — ეკიპაჟი და მეთევზენი. ქარიშხალი უფროდაუფრო ძლიერდებოდა და გემებს და ადამიანებს აუცილებელ დაღუპვას ემუქრებოდა. გემებიდან ამაოდ იძლეოდნენ სიგნალებს დახმარების შესახებ. რადიოკავშირი არ იყო, შორეული უდაბური ნაპირის ოდნავ დასანახი მოხაზულობა ნაკლებ იმედს იძლეოდა, რომ სიგნალებს გაიგონებდნენ.

სიგნალები უბედურების შესახებ მაინც გაიგონეს. № მესაზღვრე რაზმის ახალგაზრდა მესაზღვრემ ამხ. გოლუბმა, რომელიც საგუშაგოზე იდგა, შეამჩნია, თუ რა ხდებოდა ზღვაზე, და ეს ტელეფონით დაუყოვნებლივ აცნობა პუნქტის შტაბს. მაშინვე მიიღეს ყველა საჭირო ზომა. გემებისა და მათზე მყოფ ადამიანთა გადასარჩენად გაგზავნეს მაშველი გემი. წიფათში ჩავარდნილი მეთევზეები და გემები, მესაზღვრის სიფხიზლის წყალობით, გადაარჩინეს (საქდესი).

# ფულადი დახმარება მრავალშვილიან ოჯახებს

შუამთის სას.-სამ. ტექნიკუმის ეზოში დილიდანვე თავი მოუყრიათ კოლმეურნეებს. მათს სახეზე სიხარულის ღიმი ჰკრთის. დღეს საზეიმო სხდომაზე მრავალშვილიან ოჯახებს უნდა გადასცენ ფულადი დახმარება.

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარების გაწევის შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილებაზე სიტყვა წარმოსთქვა ვანის რაიაღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ტ. ბერეკაშვილმა.

კოლმეურნე ქალებმა: ეკატერინე მელაშვილმა, დარიკო ღვინიანიძემ და ალათი ფარცხალაძემ მიიღეს ფულადი დახმარება ორ-ორი ათასი მანეთის ოდენობით.

— ეს დახმარება წარმოადგენს პარტიისა და ხელისუფლების უდიდეს მზრუნველობას მრავალშვილიან ოჯახებზე. ჩვენი ვალია აღვზარდოთ საბჭოთა პატრიოტიზმით აღსავსე ახალგაზრდა თაობა, რაშიაც ყოველდღიურ დახმარებას გვიწევს ახალი კონსტიტუციის შემოქმედი, მშრომელთა საყვარელი ბელადი და მოამაგე დიდი სტალინი, — აცხადებენ კოლმეურნე ქალები.

**ნ. თვალაბეიშვილი**

# ფიზკულტურის ინსტრუქტორთა და ექიმთა გადასამზადებელი კურსები

საქართველოს ჯანსახკომის მთავარი საკურორტო სამმართველო პირველ აპრილიდან თბილისში აწყობს ფიზკულტურის ექიმთა და ინსტრუქტორთა გადასამზადებელ ორთვიან კურსებს. სამკურნალო ფიზკულტურის დარგში გადამზადებული პირები გაიგზავნებიან საქართველოს მთავარ კურორტებზე (ბორჯომი, აბასთუმანი, წყალტუბო და სხვ.) სამუშაოდ. კურსდამთავრებული ექიმები და ინსტრუქტორები მიემაგრებიან საქართველოს მთავარ საკურორტო სამმართველოს, როგორც მუდმივი კადრები სამკურნალო ფიზკულტურის დარგში.

კურორტებზე გაგზავნილ ექიმებსა და ინსტრუქტორებს სეზონის განმავლობაში უფასოდ მიეცემათ ოთახი და შეღავათიან ფასებში კვება.

კურსებზე მეცადინეობა იქნება საღამოს საათებში წარმოების მოუწყვეტლად.

# საქართველოს ცაკში

## ახალი სასოფლო საბჭოები

... ჩეთის რაიონში 1 ახალი სასოფლო საბჭო.

## სტაციონალური კურსები

ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება თბილისში სტაციონარული სამთვიანი კურსების მოწყობის შესახებ. ეს კურსები გახსნილი იქნება მუდმივად და ყოველ სამ თვეში ერთხელ მოხდება მსმენელთა გამოშვება. კურსები იხსნება სპეციალურად სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისა და მდივნების მოსამზადებლად. მიღებულია აგრეთვე დადგენილება რაიაღმასკომების მდივნებისა და ინსტრუქტორების მოსამზადებელი ორთვიანი სტაციონარული კურსების მოწყობის შესახებ.

# ფეხბურთი

## გუშინ ამხ. ლ. ბერიას სახელობის სტადიონზე
## „საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი“—„მეტალურგი“ („სერპ ი მოლოტი“) 0 : 2.

27 მარტს მოსკოვის გუნდმა ჩაატარა მეორე მატჩი თბილისში. მოსალოდნელი იყო, რომ მოსკოველები უკეთესად ითამაშებდნენ ვიდრე „დინამოს“ ოსტატების წინააღმდეგ. ნამდვილად კი „მეტალურგმა“ სუსტად ჩაატარა შეჯიბრება, თუმცა მის წინააღმდეგ საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდი, თამაშობდა რომელსაც აგრეთვე აკლია ტრენირობა.

პირველი ტაიმი მკრთალი თამაშის შემდეგ 0 : 0 დამთავრდა. მეორე ტაიმში ტემპი კიდევ უფრო შენელდა. დაშავებული მეკარე კასრაძე შეიცვალა სათადარიგო მეკარე ქოიავათი. ამან გაუშვა ადვილად დასაჭერი ბურთი, რის შემდეგ მოსკოველები ცოტათი გამოცოცხლდნენ. ტაიმის ბოლოს „მეტალურგმა“ კიდევ ერთი ბურთი გაიტანა. თამაში 0 : 2 დამთავრდა.

თბილისელებში კარგად თამაშობდნენ კასრაძე კიკნაძე და რამიშვილი არა უშავდა რა ლობჟანიძის პასირობას. სუსტად თამაშობდა მარცხენა ფრთა იმნაძე—ყალიჩავა. ბოლოტინმა ვერ გამოიყენა ერთი ნაღდა შანსი.

ყოვლად დაუშვებელი უმსგავსოება ჩაიდინა მცველმა მინჯიამ, რომელმაც ზიზღითა და ბრაზით ესროლა ბურთი თავის მეკარეს — პირველი გოლის გაშვების შემდეგ.

დამაკმაყოფილებლად სჯიდა სოლტახი.

**დ. მ.**

# ახალი ამბები

○ **სატროლეიბუსო ქსელის** მშენებლობის მთავარი ინჟინრის ცნობით, თბილისში პლეხანოვის პროსპექტზე სატროლეიბუსო მოძრაობა გაიხსნება 1 აპრილს. ამჟამად მთავრდება სატროლეიბუსო ქსელის მოწყობა.

○ **დაბა გეგეჭკორში** იხსნება ტროპიკულ სნეულებათა სამკურნალო სადგური, რომელიც მომსახურებას გაუწევს რაიონის მოსახლეობას.

○ **სოხუმში,** ქალაქის ცენტრში გაიხსნა მასწავლებლის სანიმუშოდ მოწყობილი სახლი. სახლში მოთავსებულია ბიბლიოთეკა-სამკითხველო, სხდომების დარბაზი, საბილიარდო და მშვენივრად მორთული სალონი.

○ **თბილისის ხაბჭოს** ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ლუდის ქარხნები წელს გამოუშვებენ 5.500 ათას ლიტრ ლუდს.

○ **უახლოეს დღეებში** თბილისში, პლეხანოვის პროსპექტზე გაიხსნება პირველი მუდმივი საბავშვო ხმოვანი კინოთეატრი. თეატრში საჩვენებლად შეარჩევენ საუკეთესო ფილმებს, ყოველდღე იქნება ორი სეანსი: ნაშუადღევის 4 ს. მცირეწლოვანთათვის და საღამოს 6 ს. მოზრდილთათვის.

○ **თბილისის** სახელმწიფო კონსერვატორია 1 აპრილიდან იწყებს განცხადებების მიღებას სტუდენტების ჩასარიცხად პირველ კურსზე. მიღება იწარმოებს ყველა ფაკულტეტზე.

○ **კურორტ ძაუში** (სამხრეთ-ოსეთი) საზაფხულო სეზონის დასაწყისისათვის გაიხსნება ახალი პანსიონატი 150 საწოლით. პანსიონატისათვის აგებულაა სამსართულიანი შენობა.

# ცათამბჯენი ქალაქის ცენტრში

საბჭოთა კავშირის გმირების მოედანი თბილისში, ზოოპარკთან ახლო მომავალში ქალაქის ერთერთი ულამაზესი ცენტრალური ნაწილი გახდება. მოედნის მოხდენილ მდებარეობას დაამშვენებს ახალი დიდი საცხოვრებელი კომბინატის ცათამბჯენი კორპუსები, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მონუმენტური შენობა და სხვა დიდი ნაგებობანი.

საცხოვრებელი კომბინატი შენდება მოედნის ერთ მხარეზე. კომბინატი შესდგება რამდენიმე კორპუსისაგან. მარჯვენა კორპუსი შენდება კოშკისებურ სტილზე 11 სართულად. შუაში შენდება 7 სართულიანი კორპუსი 1 და 2-ოთახიანი ბინებით, ხოლო მარცხნივ —8-სართულიანი კორპუსი 3—4 ოთახიანი ბინებით. თვითეულ ბინას, იქნება იგი 4 ოთახიანი, 3 ოთახიანი თუ ერთოთახიანი. ექნება საკუთარი სამზარეულო, სააბაზანო, აივანი და ნაგვის შთანმთქავი მილი. ნაგვის შთანმთქავი მოწყობილობა პირველად თბილისში აქ მოეწყობა.

ბინების გათბობა ცენტრალიზებულია. ყოველ ბინაში მუდმივად იქნება როგორც ცივი, ისე ცხელი წყალი. საცხოვრებელ კორპუსებში მოწყობილი იქნება ლიფტები.

კორპუსებს უკან გადაწყვეტილია დიდი ბაღის გაშენება — სათბურებით, ფარდულებით, ყვავილნარებით და შადრევნებით. კომბინატში სულ 100 ბინა იქნება. ამ ბინებში მცხოვრებთა საჭიროებისათვის აშენებენ კლუბს და ბიბლიოთეკას, რომელიც დაიკავებს 2 სართულიან შენობას. აშენებენ აგრეთვე მექანიზებულ სამრეცხაოს და საგარაჟე შენობას, სადაც 20-მდე ავტომობილი მოთავსდება. და საბავშვო ბაგის შენობას.

თბილისის საბჭომ კომბინატის მშენებლობა მიანდო საქართველოს კურორტმშენს, რომელმაც ეს სამუშაო 1938 წლისათვის უნდა დაამთავროს.

# ხიდები, ესტაკადები, ლიანდაგგაყვანილობანი ამიერ-კავკასიის რკინიგზაზე

მიმდინარე წელს ამიერკავკასიის რკინიგზაზე, შავიზღვის რკინიგზაზე და შტოებზე იწარმოებს დიდი და რთული სამუშაოები ხიდების, ესტაკადების, ლიანდაგგაყვანილობათა და სხვა სარკინიგზო ნაგებობათა მშენებლობისათვის. ხიდების ნაწილი უახლოეს თვეებში გადაიცემა საექსპლოატაციოდ.

მალე დამთავრდება ხიმინჯებიანი დიდი ხიდის მშენებლობა მდინარე ბესლეტკაზე—შავი ზღვის რკინიგზის ახალ უბანზე კელასური—სოხუმი. ხიდი დამთავრდება ივნისში, რის შემდეგ კელასური—სოხუმის უბანი გადაიცემა საექსპლოატაციოდ და დაიწყება სარკინიგზო მიმოსვლა თბილისსა და სოხუმს შუა.

იმავე უბანზე სწარმოებს ორი ესტაკადის არქიტექტურული გაფორმება. უკვე დამთავრებულია ესტაკადების მშენებლობა, რომლებიც სოხუმის ქალაქის ქუჩებს საშუალოდ 8 მეტრის სიმაღლეზე გადასჭრიან. ესტაკადების საერთო სიგრძე 550 მეტრს უდრის. ესტაკადები აშენებულია კლასიკური სტილით მაღალ კოლონებზე.

ძირითადად დამთავრებულია ხიდის მშენებლობა მდინარე რიონზე ფოთის რკინიგზის შტოზე. ამჟამად გაძლიერებული მუშაობაა მისასვლელების მოსაწყობად.

მთავრდება ლითონის ახალი ხიდის აგება მდინარე ტიურიანჩაიზე (აღმოსავლეთის უბანი). გზის დასავლეთის უბანზე შენდება ლითონის ახალი ხიდი მდინარე წყალწითელაზე და სხვ.

○

განსაკუთრებულ ტექნიკურ ინტერესს წარმოადგენს კოჯოვანი ლიანდაგგაყვანილობა, რომელიც ძველი ლიანდაგგაყვანილობის ადგილზე შენდება თბილისში საბჭოთა ქუჩის ზემოთ. ახალი ლიანდაგგაყვანილობა დაპროექტებულია ოთხი ლიანდაგით, ნაცვლად სამისა. ახალი ლიანდაგგაყვანილობის აშენების შემდეგ საბჭოთა ქუჩა, რომელიც არსებული ლიანდაგგაყვანილობის ქვემოთ 10 მეტრამდე ვიწროვდება და რომელიც ამ ადგილას უვარგისია ავტომობილების, ტრამვაის და ქვეითი მოძრაობისათვის, რეკონსტრუირებული იქნება, იგი გაფართოვდება და გადაიქცევა ფართო, სანიმუშო, დიდი მოძრაობისათვის გამოსადეგ ქუჩად. ახალი ლიანდაგგაყვანილობა შენდება ცალკეული სექციებით სარკინიგზო და ქუჩის მოძრაობის შეუწყვეტლად. მშენებლობის პროცესში მყოფი ლიანდაგგაყვანილობა წარმოადგენს საბჭოთა კავშირში დიდი მოცულობის კოჯოვანი ლიანდაგგაყვანილობის მშენებლობის პირველ ცდას. ლიანდაგგაყვანილობის აშენება დამთავრდება 1937 წელს. (საქდესი).

# თავდაცვა-ავიაქიმის მე-11 ლატარიის ბილეთების რეალიზაცია

თავდაცვა-ავიაქიმის მე-11 ლატარიის ბილეთების რეალიზაციაში რესპუბლიკის რაიონებს შორის დაწინაურდნენ ამბროლაურისა და ონის რაიონები. ამბროლაურის რაიონმა სალატარიო ბილეთების რეალიზაცია დაამთავრეს 13 მარტისათვის, ხოლო ონის რაიონში — 20 მარტისათვის.

დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა საღნალის, ორჯონიკიძისა და გეგეჭკორის რაიონებში, სადაც სალატარიო ბილეთების რეალიზაციას უახლოეს დღეებში ამთავრებენ.

ქუთაისის, ჭიათურის, ჯულფისა და რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა რაიონები, აგრეთვე აფხაზეთი, აჭარა და სამხრეთოსეთი თავდაცვა-ავიაქიმის სალატარიო ბილეთების რეალიზაციაში 20 მარტისათვის ჩამორჩენილი იყვნენ.



საგაზაფხულო არდადეგების შემდეგ გუშინ თბილისის სკოლებში განახლდა მეცადინეობა. სურათზე: თბილისის 54-ე საშუალო სკოლის 1936 წელს აგებული შენობა ღრმა-ღელეში.
ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)



თბილისი. ახალი სანაპირო ქუჩა ელბაქიძის ხიდიდან.
ფოტო დავიდოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

# ბიბლიოგრაფია

„ათას ერთი ღამე“. შეჰერეზადას ზღაპრები. თარგმანი ს. აბულაძისა. გამომც. „ფედერაცია“, თბილისი, 1937 წ.

„შეჰერეზადას ზღაპრები“ წარმოიშვა მე-10 საუკუნეში არაბულ ენაზე, როგორც ირანული ზღაპრების „ჰაზარ-ეფსანეს“ (ათასი ზღაპარი) თარგმანი, ხოლო საბოლოო სახე მან მე-15-16 საუკუნეებში მიიღო ეგვიპტეში. მისი ავტორი დღესაც უცნობია. ეს წიგნი პირველად გამოიცა პარიზში 1704 წელს და აქედან გავრცელდა სხვადასხვა ქვეყნებში. მაქსიმ გორკი მას სიტყვების ამღერების მისწრაფებას და აღმოსავლეთის ერთა ფერადი ფანტაზიის ძალას უწოდებს.

„ათას ერთი ღამე“ („შეჰერეზადას ზღაპრები“) უაღრესად დამახასიათებელია ძველი ირანის მეფეთა ცხოვრებისა და საქმიანობისა. მისი მოკლე შინაარსი ასეთია:

ირანის მეფეთა შორის იყო ერთი, შაჰრიარი, რომელსაც დიდი ხნის მეფობის შემდეგ ყველაფერი მოჰბეზრდა—ხელმწიფობაც, სიმდიდრეც და ქალის სიყვარულიც. ყველაფერზე გული აუცრუვდა. შაჰრიარი ქალთან მხოლოდ ერთი ღამის ალერსით კმაყოფილდებოდა და მეორე დღეს კი თავს მოაკვეთინებდა ხოლმე. ქალთა მოკვეთილი თავებით თითქმის მთელი ქალაქი აივსო. სატახტო ქალაქი ღელავდა, ტირილი და კვნესა ისმოდა ყველგან. ქვითინებდნენ მამები დაღუპულ ქალებზე, მოსთქვამდნენ დედები ახლად დაბადებულ ასულთა მომავალ ხვედრზე. შაჰრიარის დიდი ვეზირის ქალმა შეჰერეზადამ („მთვარის ასული“), რომელიც ყველა ქალზე უფრო ლამაზი და ნასწავლი იყო და რომელსაც სატახტო ქალაქის მცხოვრებ ქალთა ბედი აწუხებდა, გადასწყვიტა მათი დახსნა. ამისათვის ის შაჰრიარის ცოლი გახდა. ამ ამბავმა ყველა შეაშფოთა, რადგან იცოდნენ, რომ ასეთ მშვენიერ ასულს თავს მოჰკვეთდნენ. გათენების ხანს შეჰერეზადამ შაჰრიარს ლოგინში დაუწყო მშვენიერი ზღაპრის მოყოლა. მეფე ძალიან გაიტაცა ლამაზმა ზღაპარმა და შეჰერეზადას ერთი დღის სიცოცხლე აჩუქა. მეორე დილასაც უამბო შეჰერეზადამ ლამაზი ზღაპარი. მეფეს ძალიან მოეწონა და კიდევ აჩუქა ერთი დღის სიცოცხლე, და... ამნაირად შეჰერეზადამ შაჰრიარს უამბო ათას ერთი ზღაპარი, რითაც შეინარჩუნა ათას ერთი დღის სიცოცხლე. ეს წიგნიც შეიცავს ათას ერთ ზღაპარს. ბოლოს მოლბა გული სასტიკი მეფისა და შეჰერეზადა ცოლად დაიტოვა. ამის შედეგად შესწყდა სიკვდილით დასჯა სატახტო ქალაქში.

ის ზღაპრები, რომელიც შეჰერეზადამ უამბო მეფეს, მეტად ლამაზია, მიმზიდველი და ხალხური სიბრძნით სავსე. ქართულად ეს წიგნი პირველად გამოიცა (არა სრული სახით) 1894 წელს, ხოლო შემდეგ ერთი ზღაპარი სთარგმნა მოსე ჯანაშვილმა.

სავლე აბულაძემ მეტად სასარგებლო საქმე გააკეთა „ათას ერთი ღამის“ ქართულად თარგმნით. მაგრამ წიგნის საერთო ნაკლად ის მიმაჩნია, რომ აქ მხოლოდ ზოგიერთი დამახასიათებელი ზღაპრებია მოცემული და ხშირად მათ შორის ორგანული კავშირი სწყდება.

წიგნი მიმზიდველი ენითაა თარგმნილი.

**ან. თევზაძე**

# ახალი წიგნი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პარტგამომცემლობამ გამოსცა

ა. ჟდანოვი: „პარტიული ორგანიზაციების მომზადება ახალი საარჩევნო სისტემით სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სათანადო გარდაქმნა“.

შინაარსი: ა) ამხ. ა. ჟდანოვის მოხსენება საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზე 1937 წ. 26 თებერვალს.

ბ) ამხ. ა. ჟდანოვის საბოლოო სიტყვა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზე 1937 წ. 27 თებერვალს.

გ) საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის რეზოლუცია ამხ. ა. ჟდანოვის მოხსენების გამო.

ბროშურა 47-გვერდიანია და ღირს 40 კაპ.

# კრებები

— **28 მარტს, საღამოს 8 საათზე,** საქართველოს გეოგრაფიული საზ-ბის სხდომების დარბაზში (კეცხოველის 11) შესდგება ამხ. გ. კვირიკაძის მოხსენება თემაზე: „ქალაქ ფოთის საბჭოს რაიონის ეკონომგეოგრაფიული მიმოხილვა“. დასწრება თავისუფალია.

— **28 მარტს,** საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში პოეტების სექცია აწყობს გრ. აბაშიძის ახალი პოემის „თერთმეტი ამირანის“ კითხვა-განხილვას. შესვლა მოსაწვევი ბარათებით.

— **განათლების მუშაკთა სახლში 29** მარტს, საღამოს 8 ს., შესდგება პროფ. ს. ჯანაშიას ლექცია თემაზე: „საქართველო მე-12 საუკუნეში“. დასწრება თავისუფალია.

# საქდესის გასწორება

„კომუნისტის“ 27 მარტის ნომერში ამხ. **ლ. ბერიას** მოხსენების მეორე სვეტის პირველ აბზაცში დაბეჭდილია: „... ხალხის უბოროტეს მტერთან ტროცკისტთან“... უნდა იყოს: „... ტროცკისთან“ და სხვ.

ამხ. **ლ. ბერიას** მოხსენების გამო კამათში გამოსული ამხ. კოჩლაძის სიტყვის მეორე აბზაცში უნდა იკითხებოდეს: „არღვევდნენ წესდებას და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებებს პარტიული მეურნეობის შესახებ (საქდესი).

○

ამხ. დ. დემეტრაძის წერილში „თვითკრიტიკის გზით“, რომელიც მოთავსებული იყო „კომუნისტის“ 27 მარტის ნომერში, მეორე სვეტის პირველი აბზაცის შუა ნაწილი ასე უნდა იკითხებოდეს: „ბუხარინი ამტკიცებდა, მაიაკოვსკის „აგიტკების“ დრო წავიდა და მეტრად უნდა გამოვაცხადოთ საბჭოთა პოეზიის პოზიციებს დაშორებული ისეთი ბუნდოვანი პოეტი, როგორიც არის პასტერნაკი“.

# პარტკალენდარი

## ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

28 მარტს აგიტატორთა კურსების მეცადინეობა (ყველა ჯგუფი) დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

**პროპაგანდის კაბინეტი** — კონსულტაცია თემებზე:

1. მხატვრული ლიტერატურის გამოყენება პარტიულ პროპაგანდაში. რუსულ ენაზე, კონსულტანტი ამხ. დ. დემეტრაძე.

2. საბჭოთა კავშირი მძლავრი ინდუსტრიული ქვეყანაა. რუსულ ენაზე. კონსულტანტი ამხ. რ. მელაძე.

○

— **26 კომისრის სახელობის პარტრაიკომი** იუწყება, რომ 29 მარტს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის

**26 კომისრის სახელობის რაიკომის მესამე პლენუმი.**

დღის წესრიგი: „არჩევნების ჩატარება პარტიულ ორგანიზაციებში“.

— **წინადადება ეძლევა ვიქტორ დავითის-ძე ფოცხვერაშვილს** გამოცხადდეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელი პარტორგანოების განყოფილებაში ამხ. კაპანაძესთან. განყოფილება სთხოვს ყველა პარტიულ ორგანიზაციას, თუ იციან ვ. დ. ფოცხვერაშვილის ადგილმყოფელობა, აცნობონ ც. კ-ის ხელმძღვანელი პარტორგანოების განყოფილებას.

○

— **საქ. კ. პ. (ბ) ცაგერის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1527354, გაცემული ცაგერის რაიკომის მიერ გასული წლის 22 ივლისს ალექსანდრე ბასილის-ძე ხეცურიანის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

— **საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი** აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1531746, გაცემული სამტრედიის რაიკომის მიერ გასული წლის ივნისში იონა ლუარსაბისძე ზაქრაძის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

# ებრაელთა მუზეუმი

საქართველოს ებრაელთა შორის კულტურული მშენებლობის ფონზე განსაკუთრებით გამოირჩევა საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. მუზეუმის ჩამოყალიბებით უნდა გადაიჭრას ებრაელი მოსახლეობის ისტორიული წარსულის მეცნიერული შესწავლის პრობლემა.

მუზეუმის არსებობა თბილისში ლენინ-სტალინის ნაციონალური პოლიტიკის ერთერთ შესანიშნავ მიღწევას და საქართველოს მშრომელ ებრაელთა ფართო მასების სამეურნეო და კულტურული აღორძინების შედეგს წარმოადგენს.

განა შეეძლო საქართველოს მშრომელ ებრაელობას რევოლუციამდე ცარიზმის კოლონიურ-იმპერიალისტური პოლიტიკის პირობებში ეზრუნა თავისი ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სისტემატური შესწავლის ორგანიზაციაზე?

სსრ კ-ის მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტმა სპეციალურ თათბირზე დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი საქართველოს ებრაელთა მუზეუმთან მეცნიერული კავშირის დამყარებისა და განმტკიცებისათვის. თათბირმა აღნიშნა საქართველოს ებრაელების შესწავლის უაღრესად დიდი მნიშვნელობა.

ყველაზე სერიოზულ პრობლემას მუზეუმისათვის მისი ჩამოყალიბების პირველი დღიდანვე წარმოადგენდა მუზეუმის უზრუნველყოფა მეცნიერული კადრებით. ეს აქტუალური საკითხი ნაწილობრივ გადაჭრილია. შედარებით მოკლე დროში მუზეუმმა შესძლო საქართველოს ებრაელებიდან მოემზადებინა სამუზეუმო მუშაობის დარგში თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით აღჭურვილი მეცნიერი მუშაკები. მუზეუმის მეცნიერ მუშაკთა რიცხვიდან ორი მუშაობს სსრ კ-ის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალთან არსებული ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის ასპირანტურაში. უნდა აღინიშნოს, რომ მუზეუმმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ებრაელებისაგან მეცნიერ მუშაკთა კადრების მომზადების საქმეს. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში გაგზავნილი სამი ეთნოგრაფიული ექსპედიციის შედეგად და ადგილობრივ თბილისში კოლექციების დაგროვებით შექმნილია მუზეუმის სამეცნიერო ფონდი. ამჟამად მუზეუმი თავის ფონდში ითვლის 2500-მდე კოლექციას, 2200 ფოტოსურათს, ნახატების დიდ რაოდენობას, არქიტექტურულ სიუჟეტიან სურათებს და სხვ.

გარდა ამისა, მუზეუმი გამდიდრდა მოსკოვიდან მიღებული ექსპონატებით და წიგნებით, რომლებიც გამოჰყვეს მოსკოვისა და ლენინგრადის სამეცნიერო დაწესებულებებმა. ლენინგრადის მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი მუზეუმის დავალებით მუშაობს კავკასიის ებრაელთა შესახებ გამოსულ კრებულთა ბიბლიოგრაფიის შედგენაზე.

მაგრამ დასახული სამუშაო გეგმის წარმატებით განხორციელებისა და მუზეუმის მშრომელთა ფართო მასებთან დაახლოვების გზაზე იყო დაბრკოლებები, რომლებიც ხელს უშლიდნენ მუზეუმის შემოქმედებით მუშაობას. საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებამ მუზეუმის განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადაცემისა და მისთვის ყოფილი „ღარიბკომის“ ცენტრალური გამგეობის შენობის გამოყოფის შესახებ მუზეუმი გამოიყვანა სახელმწიფო დაწესებულებების ფართო გზაზე და შეუქმნა ბრწყინვალე პერსპექტივები და შესაძლებლობანი.

ოქტომბრის რევოლუციის ოცი წლისთავისათვის მუზეუმში მოეწყობა დიდი გამოფენა შემდეგი განყოფილებებით: ისტორიული, ძველი ყოფა-ცხოვრებისა და სოციალისტური მშენებლობისა.

საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა უნდა შესძლოს მის წინაშე დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულება და ჩადგეს საბჭოთა კავშირის დიდ სამეცნიერო-საგამოკვლევო დაწესებულებათა რიგებში.

**დ. შაფთოშვილი**


**ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი**

| | |
|---|---|
| 28-III | გედების ტბა |
| 29-III | ტრუბადური |

დასაწყისი სრულ 8 საათზე.

მუდმივი ადგილები 23 მარტის თარიღით—ძალაშია 28 მარტს და 25 მარტის თარიღით—2 აპრილს. წინასწარ ადგილის აღნიშვნით.

თეატრის ადმინისტრატორი.

**ლენინის ორდენოსანი რუსთაველის თეატრი**

| | |
|---|---|
| 28-III | ალკაზარ |
| 29-III | ალკაზარ |

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

**მარჯანიშვილის სახ. თეატრი**

| | |
|---|---|
| 28-III წარ. № 135 | ქალად ექიმი |
| 29-III წარ. № 136 | ვერაგობა და სიყვარული |

**დღეს საკინმრეწვის თეატრებში**

| | |
|---|---|
| ოქტომბერი 5 30, 8, 9 30 11 | დადგმის მე-3 კვირა ხმოვანი სურათი ფედკა |
| ამირანი 5 30, 7-20, 9-10 11 | ახალი ხმოვანი ფილმი უკანასკნელი ღამე |
| კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-3 | დადგმის მე-2 თვე დარიკო |
| რ. ლუქსემბ. 6, 7-40 9-20 11 | ხმოვანი ფილმი პოეტის სიჭაბუკე |
| 26 კომ. სახ. 6-30 8 30 10-3 | ხმოვანი ფილმი ალმასი |
| ახალი ამბები | ესპანეთის ამბები № 15 ხმოვ. ჟურნალი № 8 ჩვეულებრივი ქალი. |

**სახცირკი** ტელ. 3-11-44

**დღეს, 28 მარტს,** დიდი წარმოდგენა დღისით—განახლებული პროგრამით. ახალი გასტროლიორები.

ფრანგული პროფეს. **ჭიდაობის** მე-28 დღე.

ჭიდაობს 3 წყვილი
1. გადამწყვეტი შეხვედრა ვილი ბური — პუგაჩოვი
2. კარელინი—სევერსკი
3. მ. გაგალიკაშვილი — ვ. ბურევოი

წარმ. დასაწყ. 8 ს. 30 წ. ჭიდ.—10 ს. 30 წ. სალარო 12—2 ს. და 5 ს. დან.

30 მარტს დღის წარმოდგენა განახლ. პროგრამით. დასაწყ. 2 ს. ფასები შემცირებულია.

**სახ. სტომატოლოგიური ინსტიტუტი**

საშ. სკოლადამთავრებულთათვის ინსტიტუტში შესასვლელად **ხსნის** ოთხთვიან გადასამზადებელ კურსებს. კრასნოგორსკის, 10. საღამოს 6—10 ს-მდე. 16845



**სამოქალაქო საჰაერო ფლოტის თბილისის აეროპორტმა განაახლა**

**ყოველდღიური საჰაერო სამგზავრო მიმოსვლა და ტვირთ-ბარგის გადაზიდვა შემდეგი მიმართულებებით:**

თბილისი—კიროვაბადი—აჯიკაბული—ბაქო—ნუხა—ზაქათალა;

თბილისი—ერევანი; თბილისი—ქუთაისი—სოხუმი—სოჭა

ტვირთი მიიღება განუსაზღვრელი რაოდენობით, უზრუნველყოფილია უსწრაფესი გადაზიდვა. ტარიფები შემცირებულია.

თბილის-ბაქოს ხაზზე დაფრინავენ 9-ადგილიანი თვითმფრინავები, რომლებიც გადიან 7 ს. 20 წ. მოსკოვის დროით.

ბილეთების გაყიდვა და ტვირთის მიღება სწარმოებს აეროპორტის ქალაქის სადგურებზე: კეცხოველის ქ. № 2, ტელ. 3—63—41 და რუსთაველის პრ. № 14, ტელ. № 3—59—66.

მგზავრების მიყვანა და ტვირთის მიტანა სწარმოებს აეროპორტის ავტოტრანსპორტით.

1525 2—8

თბილაეროპორტი.

ორჯონიკიძის რაიონის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი **მირიანაშვილი** ამით აცხადებს, რომ ა/წ. 31 მარტს, დღის 2 საათზე, თბილისში, საქფედერაციის ქუჩა № 20 დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა**

გაიყიდება საქ. მეჰისის ქონება ორი საბეჭდი მანქანა რუსული შრიფტით, ერთი ქართული შრიფტით, არითმომეტრი, რკინის სალარო, საკანტორო მოწყობილობა საწერი მაგიდები და სხვ. ქონება ესე შეფასებული 3.250 მანეთად, გაიყიდება „გორპოს“ პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად არბიტრაჟის ბრძანებისა № 1/829

16846

**მკითხველთა საყურადღებოდ**

**ხელისმოწერის ვადები ადგილობრივ გაზეთებზე თბილისში გაგრძელებულია 28 მარტამდე ჩათვლით.**


მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეო—3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, ღამის რედაქტორის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.